



## მანანა ხველევიძე

საქართველოს სახელმწიფო  
საზღვრის  
სამართლებრივი, გეოგრაფიული  
და  
პოლიტიკური ასპექტები  
(XX საუკუნეები)

සාමාන්‍ය කළමනාව  
සාමාන්‍ය කළමනාව  
සාමාන්‍ය කළමනාව, තෙවැනි ප්‍රතිචාර  
දස  
ප්‍රතිචාර ප්‍රතිචාර ප්‍රතිචාර  
(XX සාමාන්‍ය කළමනාව)

341.222(479.22)

б-492



ББК 67.99(2)116.2+26.8

УДК 341.222+91

№ 492

რედაქტორი: პროფესორი გივი ინწურული

რეცეზენტები: პროფესორი ვალერი ლომაძა,  
იურიდიულ მეცნიერებათა  
დოქტორი მარინა ქაჭაძე,  
დოცენტი პატა ცნობილაძე



© გ. ზედელიძე, 2000  
ISBN - 99928-54-40-5 © გამომცემლობა განათლება",  
2000

K 278.736  
3

## ფინანსითური მიმღებელის მიერ

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია ავტორის მიერ სადისერტაციო თემის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები“ საცუძველოზე, მასში შეჯამბულია 1918 წლიდან 1999 წლის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მიმართებაში არსებულ ყველა იურიდიული - გეოგრაფიული და პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტი, რომლებიც დაღავებულია ქრონოლოგიურად და განხილულია მათი სამართლებრივი მხარეები. აღნიშნული ნაშრომი, ჩვენის ღრმა რწმენით, დახმარებას გაუწევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიას მუშაობის პროცესში და საშუალებას მისცემს მეზობელი სახელმწიფოების შესაბამის კომისიებთან შეხვედრების დროს წარადგინონ არგუმენტირებული სამართლებრივი ფაქტები და სრულყოფილად იმსჯელონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის ქანონიერებაზე.

ნაშრომის შესავალში ღაპარაკია თემის აქტუალურობაზე, პირველ თავში განხილულია საზღვრის აღმინისტრაციულ ფორმირებასთან დაკავშირებული ისტორიული, გეოგრაფიული და იურიდიული მასალები, დამოუკიდებელი მენშეერეური მთავრობისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბოლშევიკური მთავრობის მიერ სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით მიღებული ყველა სამართლებრივი და პოლიტიკური აქტი, გაანალიზებულია მათი გავლენა ტერიტორიებისა და, შესაბამისად, საზღვრების ცეილებებთან დაკავშირებით. თვალსაჩინოებისათვის გამოყენებულია კარტოგრაფიული



მასალები, რომლებიც მოიცავენ პერიოდს 1861 წლიდან - 1922 წლის ჩათვლით, ესე იგი იმ საზღვრებს, რომლითაც საქართველოს სსრ შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.

მეორე თავი ეხება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში (1923 - 1991 წლებში) საქართველოს სსრ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ საზღვართან მიმართებაში არსებული სამართლებრივი აქტების შედევად მიღებულ ცვლილებებს და მის შესაბამისობას საბჭოთა კავშირის, ამცენკავებასთან, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქმედ კონსტიტუციებთან. კარტოგრაფიული მასალებისა და სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მოკვლეულია საქართველოს სსრ საზღვრის ცვლილებების კანონმდებლობასთან შეუსაბამისა.

მესამე თავში განხილულია 1992 - 1999 წლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან და აღიარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და შეიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები და მათი როლი სასაზღვრო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტში. ნამრომში აკტორის შესედულებების გათვალისწინებით წარმოდგენილია დასკრინა.

## შესავალი

სუვერენული სახელმწიფოს უმთავრესი სამართლებრივი საფუძველია: ტერიტორია, საზღვარი, აღაში, გერბი, პირი და კონსტიტუცია. ამ უმთავრესი ატრიბუტების განსახილებული წარმოგენერირებული სახელმწიფოს საზღვრის დაფინიციას – სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამსახული ვერტიკალური სიძრისე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ზმელეთს, წყალს, წიაღს, საპარო სიერუცს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან.

სახელმწიფო, მოუხდავად მისი ტერიტორიის სიღრმისა და მოსახლეობის რაოდენობისა, მმართველობის ფურმისა და პოლიტიკური რეჟიმისა, სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერისა ან სისუსტისა, სხვა ქვეწების მსგავსად სარგებლობს იმ საერთაშორისო სამართლებრივა უფლებით, რომლის შინაარსი განისაზღვრება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებითა და ნირმებით – ყველა სუვერენული სახელმწიფო ოუზღიულად თანასწორია. „სახელმწიფოები პატივს სცემენტ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას და ოვისებებს, აგრეთვე ყველა უფლებას, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის და რომლებსაც მოიცავს იგი, მათ შორის თოთოული სახელმწიფოს ოუზღიული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას“<sup>1</sup>.

1. ლავაშვილი „თანამედროვე საერთაშორისო სამართლი“, თბ.  
1998, გვ. 29-31



საზოგადოებრივი წერიბილების ნებისმიერ ეტაპზე, არ-  
სებული სოციალური სისტემების მოუხდავად, სუვერენიტეტის მიზან  
სახელმწიფოს კრიტიკი ძირითადი ნიშანი ყოველთვის იყო  
და არას სახელმწიფოს საზღვარი. საზღვრის დადგენა და  
დაცვა, მისი მოწყობა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის  
გარანტია. ამ მიმართებით არც საქართველოა გამონაკლისი.  
ბრძოლითა და სისხლით დაწერილი მისი ისტორია ნათ-  
ლად წარმოაჩნის, როგორ იმრომდა ჩვენი ქვეყნა საუკუნეე-  
ბის განმავლობაში საკუთარი ტერიტორიის დასაცავად,  
რისთვისაც აუცილებელი იყო საზღვრის განმტკიცების ღონისძ-  
იებები. საქართველო თავისი ბუჟერული ძლიერი მდგრმარეობით,  
ბუნებრივი რესურსების სიერთო მუდამ იქცვდა უცხო ქვე-  
ნების ფურადღებას და მისწრაფებას უღვივებდა მეზობელ  
სახელმწიფოებს თავისი გაელენის ქვეშ მოექცა ჩვენი ქვე-  
ნა. მძიმე ოქტობრის სანგრიძლივი და რიცხვი დაპლიმატიკური  
დაპირისპირები და სხვა სახის გართულებები მოსდგროვა.  
როგორც წესი, ამ პროცესების მართვადი თუ არა, ურთ-  
ერთი მთავარი საკითხი საზღვრის დადგენასთან დაკავშირე-  
ბული პროცესებით იყო. აღნიშნული საკითხი დღესაც ძალიან  
აქტუალურია და იგი ყოველთვის განიხილავა საქართველოს  
სახელმწიფოებრიობასთან მიმართებაში. საერთოშორისო სა-  
მართლით ქვედა სახელმწიფოს თანაბარი უფლებები და  
მოვალეობები აქვს, ისინი პატივს სცემენტის უფლებას,  
თავისი შეხედულებისაშებრ განსაზღვრონ და განახორციელონ  
ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან საერთოშორისო ნირმე-  
ბის დაცვით. საერთოშორისო სამართლის შესაბამისად — მათი  
საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მშეიღებიანი გზით და  
შეთანხმებით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დ. ალექსიშვილი „თანამედროვე საქართველოსთვის სამართლი“, თბ.  
1998 გვ. 31



წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული და სახელმწიფო სუვერენიტეტის, ფინანსურული მოღვაწეობის ინტერესებიდან გამომდინარე, განიხილოს ჭავჭავათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – მოელი სახელმწიფო საზღვრისა და ამ საზღვრის ფარგლებში მოქმედები ტერიტორიის სამართლებრივი - გვოგრაფიული - პოლიტიკური ასექტები, ვინაიდან დღემდე შეუძლია ის საკითხები, რომელიც ეხმა სახელმწიფოს საზღვრების ფრთმირებას, ასევე მოუწვდომელია ისტორიული მნიშვნელობის სამართლებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ნორმატიული აქტების დენძები, რომელებითაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დგინდებოდა მეზობელ სახელმწიფოებთან სახელმწიფო საზღვარი და ამ ყველაფრის დადგენა გვიჩედება აღრინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალებისა და არქივიდან მოპოვებულ სამართლებრივ დოკუმენტთა ასლების ასლის საფუძველზე. დასამალი არ არის, რომ სახელმწიფო არქივიდან გატანილია სამსჯელო-ისტორიული რეკები, გეგმები და სქემების კოლექცია. ამას ისიც უმატება, რომ სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ ნორმატიულ და ქვენირმატიულ აქტებს ედო საიდუმლოების გრიფი და მათი გამოყენება დასაშვები იყო მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის. ასევე გვერდს უნდა ვუკვლიოთ პისტკომიტენისტური სივრცის, მათ შორის საქართველოს სტრუქტურული ცენტრილებების მიზნებსაც. პირველ რიგში ეს ცენტრილებები აწლადნარმოქმნილ სახელმწიფოთა საზღვრებს შეეხო. ცენტრთან აუტონომიური რესპუბლიკების ხელიცნურად მოწყობილია დაპირისპირებაშ და საზღვრების ცენტრალიზებული დაცვის ერთიანი სისტემის მოშამ, ზოგ შემთხვევაში ეროვნული დაპირისპირება და კონფლიქტები გამოიწვია. ამან გარკვეული ზიანი მიაუქნა ჩვენი ჭავჭავის ტერიტორიას, რაც გამოისატა იმაში, რომ მის ზეგიერი ნაწილში საქართველოს ოურისდიქცია არ ვრცელდება.



აღსანიშნავია ისიც, რომ ძალას ნაკლებია სამართლებრივი შინაარსის მექანიზრული შრომები თანამდებროვე ეტაპზე მუშაობისა ლით ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მართებულია, რომ ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების შესდეგ, პირველ რიგში იწყებს საქუთარი საზღვრების დადგენა. და მის სამართლებრივ გაფორმებას. ეს კველა დროის ხელისუფალთაოვის მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსავები საქშე იყო, კინაიდან თვით სახელმწიფო საზღვარი და მის შიგნით მოქცეული ტერიტორია ყოველი ერის თვითგამორჩევის უპირველესი საწინდარია. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის მურისდიქციას, რომელიც ტერიტორიის საზღვრებითაა შემოფარგლული<sup>1</sup>, ხოლო კონსტიტუცია კველა სახელმწიფოს ძირითადი კანონია და სამართლის წყაროთა შორის უზრუნველყოფილა მისი უზრუნველყობა.<sup>2</sup> საქართველომ დამოუკიდებლობა XX საუკუნის მითონერ მოიპოვა და შესაბამისად ორჯერ შეუდგა სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივი გაფორმების პროცესს. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტით შესწავლა იმიტომ არის აქტუალური და აუცილებელი, რომ საქართველო გეოპოლიტიკური მდგრამარეობიდან გამოიძინარე, საქრთაშორისო ასპარეზზე დღითიდელ ინკიდირებს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსს, არის ძირმდებლი სასაზღვრო ტრადიციების მქონე სახელმწიფო, რომლის არსებობას და სახელმწიფოუმრიობის შენარჩუნებას, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, სელსაყრელ გეოსტრატეგიულ ძეგლარებას, რომელ ისტორიულ პერიოდებ-

1. ღ. აღნიშნული „თანამდებროვე საერთაშორისო სამართლი“, თბ. 1998, გვ.35.

2. კინ კირველი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ. 1999, გვ.142.



ში ქართველი ხალხის შემართუებასა და კონივრულ სასახლეების  
პოლიტიკას უწდა ვუმაღლოლებეთ. იმისათვის, რომ ჩატვრტების უძინა  
ამ პრობლემის არსებ და აღდევატურად აღვიქვათ იგი, დასაცავის  
ქართველი მუქნიერის ივანე ჯავახიშვილის საქართველოს  
საზღვრის შესახებ ჯერ კიდევ 1919 წელს ნათქეამს მოვიშ-  
ველიებთ: „საქართველოს მჭიდროდ მუშოფრაგლული საზღვრუ-  
ბი აქვს, ისე, როგორც თვით იგი ისტორიული და პოლი-  
ტიკურ-სახელმწიფო ობიექტი ივი, აგრეთვე გეოგრაფიული და  
კულტურული პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. თითქოს  
თვით ბუნებას შეუქმნას ქართველი ერისათვის ბუმბერაზი  
დარიაჯი კაგანასონის მთავარი უდელტეხნილი ჩრდილოეთით  
და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის  
ტერიტორიას შევის, ხოლო აღმოსავლეთით მდინა-  
რების ზოლი აქვს შემოელებული. ამ მხრივ საქართველო  
ერთს საუცხოვოდ გარემოზედუდიდ მაკანას წარმოადგენს.  
სხვათაშორის, ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა  
ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს  
მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრუ-  
ბის მოგრძოება და თავისი ეროვნების დაცვა.

ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და  
ამიტომ არა ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ  
იმ მონაბირე კუთხის ჩამოშორებაც უდიდათ. მაგრამ საქართვე-  
ლოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი  
სახელმწიფოს ამ ბუნებრივი საზღვრების დაცვის უაღრესი  
მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშევნივრად ჰქონ-  
დათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს  
ამგვარს განზრახეასა და წადილს მედგარის წინააღმდეგობას  
უწევდნენ“<sup>11</sup>.

დიდი მეცნიერის ამ უმნიშვნელოვანეს სიტყვებს, მი-  
უხვდავად იმისა, რომ საქმაო ხნის წინ დაიწერა, აქტუალუ-

1. ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, თბ. 1996,  
33.3.



რობა დღესაც არ დაუკარგავს. პირიქით, იგი სახელმწიფო  
საზღვრისადმი წაყენებულ ამგაძინდელ მოთხოვნებს ჰქონიანული  
ლად შეუსაბამება. ყოველი სუვერენიტეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე  
იტორია შეუვალია სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის.  
სწორედ საერთაშორისო სამართლით აღიარებულმა ამ პრინ-  
ციპმა განსაზღვრა და დაკონკრეტული კვლევის მიზანი –  
სახელმწიფო საზღვართან მიმართუბაში ქრონოლოგიურად  
განვე ხილა ყველა კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკ-  
რულება, ასევე შედასახელმწიფო ორგანიზაციი ნორმატიული აქტი,  
პოლიტიკური დეკლარაცია და კრიუკერუნციათა მასაღები,  
დაწყებული 1918 წლიდან. მისი სამართლებრივი და პოლი-  
ტიკური თვალსაზრისით დადგითით და ურყოფითი მხარეე-  
ბის განაღლიზება, პირველ რიგში, კვლევის მეშვეობით მიღ-  
წეული შედეგების სათანადო რეკომენდაციების წარდგენა  
აუცილებელი გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების იმ  
კრისტენტური როგორივისათვის, რომლებიც უანქციურად  
ავებენ პასუხს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივ  
გაფორმებასა და დაცვაზე.

ნაშრომში განხილული საკითხები განსაკუთრებული  
მნიშვნელობისაა, იმიტომაც. რომ საქართველოს თურისდიქ-  
ცია არ პიცელდება მთელს მის ტერიტორიაზე (რისო,  
აუსაზრი). ასეთ პირობებში საჭიროა ანალიტიკური შედე-  
გების გათვალისწინებით ისტორიული, პოლიტიკური და  
სამართლებრივი ასპექტების შერჩევა-შეჯერება, რაც ობიექ-  
ტური განაღლიზების საფუძველზე დადგით შედეგს გამოი-  
დებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმ-  
წიფო სუვერენიტეტის განმტკიცების საჭირო. ამ მიზნით  
შევცადეთ სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

წინამდებარე ნაშრომის – „საქართველოს სახელმწიფო  
საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური  
ასპექტების განხილვა“ აქტუალურია იმიტომაც, რომ გარკვეუ-  
ლი ისტორიული პერიოდის განმავლობაში საზოგადოები-  
სთვის მოუწვდომელი იყო სამართლებრივი დოკუმენტების



აბსოლუტური უმრავლესობა. პრესაშიც კი არ ქვეყნდებოდა პუბლიკაციები ამ თემაზე. არ ქვეყნდებოდა და არ იხილებოდა და ამა თუ იმ ტერიტორიის ნაწილის გადაცემის – ან საქართველოსთვის შეერთების საკითხი, არ ჩატარებულა პლებისციტი ან სახალხო რეფერენდუმი მოსახლეობის საქუთარი წების გამოხატვის დასაფიქსირებლად. დადგა დრო, მეცნიერთა აქტოური მონაწილეობით მოუღი პრინციპულობით დაისახა საკითხი, რათა საერთაშორისო სამართლებრივი გამოცდილებისა და სხვადასხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციური მიღების გათვალისწინებით, ტერიტორიებისა და მისი საზღვრების დამტკიცების თაობაზე ქვეყნის მოსახლეობის აქტოური მხარდაჭერით, ეროვნულ თავისებურებათა შესაბამისად მოხდეს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებით. მოვიშეელიებთ ცნობილი პუბლიცისტის, პეტრე სურგულაძის მეტად საყურადღებო მოსაზრებას: „თავისებურობა კონტაქტური, თავისებურობა ბუნების მიზან გამოწვეული, თავისებურობა პოლიტიკურ-სოციალურ პირობების შედეგი კოველ ერის აღლევს, თავისებურ განსხვავებულ აგებულებას, თავისებურ წახალის, რომელიც პირვებს სოციალურ გამოხატულობას სხვათაშორის მის სამართლაში”<sup>1</sup>. ამ წინასწარმეტყველებიდან გასაგები ხდება და დღეს საიდუმლო აღარ არის ის ფაქტი, რომ ამიურგავასის რევოლუცი ხდება ფასტელობათა გადანაწილება, რესერთ თანდათან კარგავს თავის გავლენას და აქციან გამომდინარე, იგი მრავალი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების ზონად შეიძლება გადაიქცეს. აღნიშნულის გათვალისწინებით განსაკუთრებულ მიმჭველობას იძებს სწორი სასახლერი პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო საზღვრუ-

1. ივანე გაბაშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლასტი, ისტორიული რარიტეტები”, თბ. 1989, გვ. 136.



ბის დადგენისა და სამართლებრივი გაფორმების პროცესის  
დაჩქარება, იმ პოლიტიკური თუ სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება და მიღება, რომელიც მეზობელ სახელშეწყობისა მნიშვნელოვანი და სასაზღვრო პრობლემების გადაჭრის საქმეში კოორდინაციისა და ურთიერთშეცვლის მტკიცე საფუძველი იქნება. ტერიტორიული უზენაესობა განუყოფელი ცნება და მოიცავს, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტი უფლებებს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე, ასევე თვით ტერიტორიის უზენაესი განკარგვის უფლებას – ბჟედუო, მისი წილი, შილა და ტერიტორიული წყლები, ტერიტორიის თავზე მდებარე საპატიო სივრცე საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება<sup>1</sup>. ხელშეკრებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მას ასევე არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები სხვა სახელმწიფო ქთან, რომელიც ლახავს ამ სახელმწიფოს საზღვრის ურღვეობას. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნის სურვილის გათვალისწინების საფუძველზე, თანასწორუელებისა მის შედეგად<sup>2</sup> საზღვრების ურღვეობის პრინციპს საქართველო განიხილავს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეკრებულობისა და მაღის გამოყენების პრინციპთან ერთად, ასევე აღიარებს 1975 წლის პელისინის შეთანხმებას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ და მის დამატებით თათბირზე საზღვრების ურღვეობის პრინციპის ცალკე გამოყოფას.

საქართველოს ხელისუფალთა ამოცანაა თანამშრომლებრულად და უკონფლიქტოდ დაასრულოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საერთაშორისო სამართლებრივი პროცესი, შექმნას ახალი და სრულყოფის

1. ღ. აღ ქსიმე, „თანამშრომლე საერთაშორისო სამართლი”, თბ. 1998, გვ. 36.

2. იქვე, გვ. 36.



უკვე არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, მეტ ზობელ და სხვა სახელმწიფო ობიექტებითა არალეგადული მიღწევის მიზანით ტრანსასახლებით ღრუანი იმუშავებული დამნაშავეობის, ტერიტორიული მის, მექანიზმების, კონტრაბანდის, რადიოაქტიური ნივთიერებების, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო პრუნების აღსაკვეთად თანამშრომლობის მიზნით გააფორმოს სათანადო ორგანიზი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. სახელმწიფო საზღვრის საერთაშორისო სამართლებრივი-გაფორმების უშუალო პროცესი მუშაობის რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რომელთაგან მთავარია დელიმიტაცია, შემდეგ დემარკაცია და რედემარკაცია. დელიმიტაციის პროცესი მთლიანად სამართლებრივი ხასიათისა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთშეთანხმებით რეგულირდება. სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია ყოველთვის დიდ ფინანსურ საზოგადოებრივ და ნებისმიერი ახლადიჩიმოფლიბებული სეკურიტეტი სახელმწიფოსთვის, მიუხედავად თავისი სამართლებრივი მნიშვნელობისა, მეტად შერიმატევადი და ხანგრძლივი პროცესია. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პროცესი სახელმწიფო საზღვარზე არასდროს ჩატარებულია. გამონაკლისია საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის მონაცემთ, რომელიც 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის გარე საზღვარი იყო თურქეთის რესპუბლიკასთან და მისი მოწყობა სსრ კავშირის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. სახელმწიფო საზღვრის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობის პროცესისთვის აუცილებელია სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხში პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. დღეს საქართველო განსაკუთრებული ფურადლების ცენტრში თავისი გეოპოლიტიკური მდგრამარეობის გამო. უკვე რეალურად არსებულ ბისეკისა და ტრასეკას პროექტებში გამოიკვეთა საქართველოს ვალდებულებები. სწორედ გვოგრაფიული მდგრადი გამოიყოვნის გამო, მას გარდამავალი პრიზიცია უკავია ევროპასა და აზიას ჭრის, შევ



ზღვის ერთ-ერთი შენაპირო სახელმწიფოს სტატუსით  
საქართველოზე გადის აბრეშუმისა და ნავთობის უმოქმედებულებები  
გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აღნიშნულის მუშა-მომსახური  
ტორმა კიდევ უფრო გამოკვეთა საქართველოს როლი  
სასაზღვრო პოლიტიკაში და ევროპისა და აზიის საზღ-  
ვარზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. შემთხვევითი არ  
არის, რომ საქართველოს სამართლის ურთ-ერთ მთავარ  
პრინციპად სახელმწიფო საზღვრების, მათ შორის საზღვაო  
საზღვრების ურღვეობაა აღმარტივდო. შევი ზღვა დღეს განიხ-  
ილება, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვი-  
თარების სტრატეგიული რესურსი, ხოლო სატრანსპორტო  
ეკონომიკური დერეფნის დატვირთვა უშეაღმო გავლენას  
იქრისებს საზღვაო საზღვრის როლსა და მნიშვნელობაზე.  
უკვე ძალის განსაკუთრებული ურთიერთობები სახელმწი-  
ფოთაშორისი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.  
საქართველო ჰატარა სახელმწიფოა. იგი საქართველოს  
თანამეგობრობაში მხოლოდ მშვიდობისა თანამშრომლობის  
მომხრეა და წებისმიერი საკოთხის გადაწყვეტისას ირჩევს  
საერთაშორისო აქტებით უზრუნველყოფის გზას. დღეს  
საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, მსოფ-  
ლის ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა. ბეჭრ მათგანთან  
ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები გვაკავშირებს,  
ხოლო ევროპის საბჭოშ თავის რიგებში სრულუფლებიან  
წევრად მივევიღო. ამასთან ერთად, დღითი დღე ფართოდება  
ჩეენი ქვეყნის საერთაშორისო კონტაქტები. თბილისში და  
ქვეყნის სხვა ქალაქებში თავმოყრილია მრავალი დიპლომა-  
ტიური და საერთო-ეკონომიკური წარმომადგენლობა, სწრაფი  
ტექნიკით იზრდება უცხოური კაპიტალდანდება, ინტენსი-  
ურად არის დატვირთული ქვეყნის სატრანსპორტო დენე-  
ფანი, რამაც მკვეთრად გაზიარდა მიმოსვლა ჩეენს სახელმწი-  
ფოს საზღვრებზე. ამავდროულად საჭირო გახდა საზღვრის  
თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობა და მისი დაცვის გაუმ-  
ჯობესება. საქართველო მზად არის ითანამშრომლოს ნების-



მიერ სახელმწიფოსთან და გამოხატოს კეთილი ნება მათთან  
ურთიერთობაში. დადას საქართველოს მეცნიერი სახელმწიფო  
ფონდის წელიღი, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო  
საზღვრის დასაცავად საქართველოსათვის საჭირო ტექნი-  
კური სამუალებების უსასყიდლოდ გადმოცემასა და  
სასახლერო-საბაჟო კონტროლის ორგანიზებული სისტემის  
შექმნაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტო გეოპოლი-  
ტიკური მდგრადირების მეონებითა და საერთაშორისო ორ-  
განიხაციების დახმარებით საწალელს უკა მიეაღწევთ, თუ  
ჩვენს ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად არ გავიხდით  
სასახლერო რაიონების სწრაფ კონომიკურ განვითარებას,  
იქ მოძინადოება კეთილდღეობისათვის სათანადო ინფრას-  
ტრუქტურის შექმნას, რათა უკრაშიის დურეუნის სრული  
დატვირთვით ამოქმედებაში არ გამოიწვიოს მთიანი რეგიონ-  
ების დაცლა და მოსახლეობის ბარად ჩამოსკლა.

ფოველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზის გამდელვე მეცნიერებაა. რადგან ქართველმა მეცნიერებმა კარგად იციან  
ქართველი ყოფისა და ცნობიერების არსი, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან სასაზღვრო რაიონების შენარჩუნებისა და  
განახლების, სასაზღვრო ზოლის მცხოვრებთა დასაქმების უპირატესი როლის შესახებ, რათა ჩვენმა სახელმწიფოში უფრო მყარად დაიმქვიდროს ადგილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში, როგორც უკრაშიის გასაყარზე მდებარე საიმედო საზღვრის მქონე ქვეყანაში.

ნაშრომში გამოყენებულია სსრ კავშირის, საქართვე-  
ლოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის სს რესპუბლიკე-  
ბისა და საქართველოს. სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის რესპუბლიკისა და საფრანგეთის კონსტიტუციები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებუ-  
ლებები, დადგენილებები და სხვა სახის სამართლებრივი  
აქტები და ცნობარები, სხვადასხვა ლიტერატურა, რომ-  
ლიც ეხებან ტერიტორიების აღმინისტრაციულ-პოლიტიკურ  
დაყოფას, ასევე ივ.ჯავახიშვილის, პ.ინგოროვას,



ი.მუსხელიშვილის, პ.სურგულაძის, გ.ინწქირველის, ლალევქიძის, ვლორიას, პცნობილაძის, ქ.ჭორევლიას მიღმიდან გამოყენებული იქნა და პლომატიური ღვექსიკონები, საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ და ორიდოული ქნიკილოპედიები, განმარტებითი და ორთოგრაფიული ღვექსიკონები, მრავალი საერთაშორისო კონკურსია, ხელშეკრულება, შეთანხმება და პაქტები.

ამ ნაშრობის დამთავრებამდე შევადგინეთ და გამოყენეთ ნირმატოული აქტების კრებული „საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში“. ასევე გამოვეცით „სასაზღვრო უწყების მიერ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებსა და დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები“. 1999 წლის ოქტომბრის ფურნალ „სამართლებრივ“ დაიბეჭდა სტატია „საქართველოს თანამედროვე სასაზღვრო პლაიტიკის ზოგიერთი საკითხი“.



საქართველოს სახმარებლო საზღვრის ცენტრული  
ადმინისტრაციული ცორმისა, გეოგრაფიული  
აღმოჩენილობა, სამართლებრივი გამოჯვენა და  
არალიტიკური მიმოწერა (1861–1922 წლები)

სახელმწიფო საზღვართან მიმართებაში აუცილებელია ტერიტორიის აღმინისტრაციული საზღვრის ცნებებთან დაკავშირებული მოქლე მიმოწერა, ვინაიდან აღმინისტრაციული დაფონის პრობლემა ნაკლებად არის გაშეკრული აღმინისტრაციული სამართლის ლიტერატურაში. რაც გამოწეულია კუროპასა და პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების სახელმწიფოთა აღმინისტრაციული დაფონის მდგრადობის შედეგად.

1765 წელს რუსეთის იმპერიატორის მანიფესტით, გამოცხადდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიის გენერალური გამოჯვენა, რომელიც მიზნად ისახავდა ფაქტობრივი მიწათმოქმედების საზღვრების აღნიშვნას. რუსეთის იმპერიის აღმინისტრაციული დაფონი დადგენილია 1781 წელს. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერიატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი რუსეთთან საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს) შეერთების შესახებ. მანიფესტთან ერთად იმავე დღეს გამოქვეყნებულ იქნა დებულება „საქართველოს მმართველობის შესახებ“, სადაც განსაზღვრული იყო აღმოსავლეთ საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაფონი.<sup>1</sup>

1. Полное собрание законов Российской Империи (ПСЗРИ), I-е издание, том XXVI, статья 20007.

- Путеводитель Цен. Гос. исторического архива Грузии (ЦГИА), составлен и подготовлен к печати проф. М. Чхетия, А. Иобидзе. изд. Тбилиси, 1976 г. стр. 345.



ამიერკავკასიის მხარეში რესუეთის იმპერიასთან მასი შეერთების დღითიდან მიწათმეულობელობა გაურჩეველ მდგომარეობაში წარმატები იმყოფებოდა: საქართველოში, არ არსებოდა საადგილომატერიალისა და კერძო საკუთრება. წერილობითი დოკუმენტები, როგორიც არის ქართველ მეფეთა წყალობის სიგელები და საეკლესიო სიგელ-გუბრები, შეოცავდა მხოლოდ გვარ-სახელებს, სიერისა და საზღვრების გარეშე (ნათელად იყო, რომ საჩივარი ეხმა მის სწორ საზღვრებს, მთელი თავისი მთებითა და წყალჭალებით). საზღვარი ყოველთვის იწერებოდა ამ დამადასტურებულ საბუთებში, შემდევ უნდა განსაზღვრულიყო მიწების საერთო გამიჯვნის (მიჯნის გავლების) შედეგად ამიერკავკასიის მხარეში.<sup>1</sup> 1861 წლის 27 ივლისს დამტკიცებულ ამიერკავკასიის მხარის გამიჯვნის დებულების I-ლი მუხლით ამიერკავკასიის მხარის გამიჯვნა ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს საადგილომატელო მიწების (ადგილმამტელების) მულობრელობის საზღვრება და მოუკარდეს ამასთან დაკავშირებული წამოჭრილი დავა, დადგინდეს უდავო საზღვრები სამოძალოდ და დაიღვის ნატურაში ფორმალური სამიჯნი ნიშნები და მიუკეთ მცვლობელების ქანონიერი სამიჯნი ნიშნები.<sup>2</sup>

ამიერკავკასიის მხარის ადგილი, რომელიც გამიჯვნას ექვემდებარებოდა საადგილომატელო მიწების (ადგილმამტელების) მფლობელობის გასარკვევად, შეიცავდა ხუთ გუბრენიას. ესნი იყო: ტფილისის, ქუთაისის, ელიზავეტოპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბრენიები. საქართველოს მიწებს, რომლებიც რუსეთის იმპერიას შეუწოდა 1801 წელს და მისი პროვინცია გახდა, ისევე, როგორც მასთან მომიჯნიშნები.

1. Кавказский календарь на 1902 г., стр.44, Ткачев Г.К. «Межевое дело в Закавказском крае», изд. в Тифл.1901 г.

2. Долгов К.В. «Положение о размежевании Закавказского края», издание 1890 г., (Издание Е.И. Кондратенко). Дозволено цензурою, Тифлис, 7 июня 1890 г., стр.11.



ნავე სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწებს, დაკანონებული ადმინისტრაციული საზღვრები არ გააჩნდა. მაწევმან უკანა მფლობელობა მეტ წილ შემთხვევებში უფრო გაძლიერი იყო ნასყიდობისა და სხვა უდავო დოკუმენტებს, რომლებიც საკუთრების უფლებას აღასტურებდა, არამედ მხოლოდ მიწების ფაქტობრივ მფლობელობას, რომლის წარმოშობის წყარო მიტაცება ან დაპატრონება იყო.

1862 წელს შეიქმნა სამიჯნო პალატა. გამიჯენა (მიჯნის გაულება) და გამიჯვნის დროს წარმოქმნილი დავის აღვილზე მოგვარება სამიჯნო კომისიებს ევალებოდა. სამიჯნო პალატა აგვარებდა სამიჯნო სასამართლო საქმეებს მეორე და სამოლოო ინსტანციის უკადებებით. „ამიტრკავკასიის მხარის გამიჯვნის დებულება“ შეიცავდა შემდეგ მიაყარ მოთხოვნებს:

ა) წარმოებს, მხოლოდ ერთი გამიჯენა (მიჯნის გაულება) ისე, რომ მხედველობაში არ მიიღება შიდა გუბერნიებში მისი დან წილება გენერალურ და სპეციალურ დანაყოფებად;

ბ) სასამართლო-სამიჯნი დაწესებულებანი ამთავრებენ საქმის მოვარებას გამიჯენის (მიჯნის გაულების) დროს მიწაზე სამექედრო დავისას. გარდა ამისა ამავე დებულებით თვით პალატას მინიჭებული პქნიდა ინსტრუქციის დადგენის უკადება, რათა მოთხოვნებს მოუსადაგოს ავტორისა და გეგმების შედეგნის წესები.<sup>1</sup> ერთის მხრივ, მიჯნით გამოყოფისათვის შესასრულებელი სამუშაო დაკაეშირებული იყო დიდ მატერიალურ ხარჯებთან და მცირად ღირებული საქმიანობა იყო, მეორე მხრივ, კანონიერი საზღვრების დადგენა შეესაბამებოდა რეს მეწარმეთა უშუალო ინტერესებს, ხოლო საზღვრების უდავო დადგენა სამომავლოდ ხელს შეუწყობდა აგრეთვე კავკასიის მხარის მდიდარი ბუნებრივი რესურსების

1. Кавказский календарь на 1902 г., Грузин. Издат. Товарищества, 1901 г., Ткачев Г.К. «Межевое дело в Закавказском крае», стр. 48-50-51.



განაწილებაში სტაბილურობის დამყარებას. ამიერკავკასიის  
მხარის სიძლიერეთა ექსპლუატაციის ხელშემლის მაგალითთან  
უამრავი იყო. მაგალითად, მეწარმეებს, რომლებსაც ოჯარით  
ჰქონდათ აღეჭული სამშენებლო ხე-ტყის მნიშვნელოვანი უბნები  
ქუთაისის გუბერნიაში, არ შეეძლოთ შევიდად მიეზიდათ ხე-  
ტყე საკუთარ საწარმოებამდე, რადგან ბევრი პირი თავასწო  
უფლებას აცხადებდა ტყეზე ხანდაზმული მულობელობის  
საფუძველზე. სასამართლოში შეპქონდათ სარჩელი ამ ტყეე-  
ბზე და საქმის წარმოებისას სასამართლო ყადაღას  
აღებდა მოჭრილ ხე-ტყეს, რაც დიდ ზარალს აუნიშდა მე-  
წარმეებს.<sup>1</sup>

1890 წელს ამიერკავკასიის მხარეში გამიჯვნის სა-  
მუშაოთა დამთავრებამდე, შედგენილ იქნა ამიერკავკასიის  
რუკა 20 კვისტის მასშტაბით (1:840.000) გუბერნიების,  
მაზრების, საპოლიციი უბნებისა და სახოფელი თემების  
საზღვრების აღნიშვნით. რუკის შედგენის საფუძვლად დაე-  
დო 1886 წელს ოჯახობრივი სიების მიხედვით შედგენილი  
სტატისტიკური მონაცემების კრებული ამიერკავკასიის მო-  
სახლეობის წესახებ, რომელიც სტატისტიკურმა კომიტეტმა  
გამოისცა. ამავე ცნობების საფუძველზე სამხედრო ტრანზიტუ-  
ლმა განყოფილებამ 1889-1914 წლებში შეადგინა კავკასიის 5 კურსტანი (1/210000) რუკა, რომელიც ზუსტ კარ-  
ტოგრაფიულ საფუძველზე მცნიურულად იქნა დასაბუთებუ-  
ლი.

ჩამოთვლილ პიზიციებში კარტოგრაფიული მასალა  
და „ამიერკავკასიის მოსახლეობის მონაცემების შესახებ  
სტატისტიკური კრებული“, რომელიც შეადგინა ამიერკავკასიის  
სტატისტიკურმა კომიტეტმა, ითვლებოდა საზღვრის შესახ-

1. Кавказский календарь на 1902 г., Грузин. Издат. Товарищества. 1901 г., Ткачев Г.К. «Межевое дело в Закавказском крае», стр. стр. 44-48

2. Кавказский календарь на 1902 г. Карты губерний и областей Закавказья, стр. 72.



ებ იმ პერიოდის საკანონმდებლო დოკუმენტებად. ყველა ცნობილ სხვა გამოცემაში საზღვრები აღნუსხული ფრთხილი ტრანსფერის და გეოგრაფიული რამდენადაც მათ პერიოდის წერილმას მტრაბანი გეოგრაფიული რეკების შესაბამისი გრაფიკული მოხაზულობა.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის მუშათა კლასმა და უღარისხმებამ გლეხობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაამხო დროებითი ბურჯაზიული მთავრობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას მოჰყევა საჭართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის აღმართველობა საქართველოში.<sup>1</sup>

1918 წლის 26 მაისს ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადდა.<sup>2</sup>

საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა იყო, მას სურდა საერთაშორისო ურთიერთობის ფარვა წევრთან კეთილმეგობრული განწყობილების შექმნა და კეთილმეგობრული ურთიერთობის დაცვარება, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. საქართველოს მთავრობა უნიტარულად იბრძოდა, რათა მოეპოვებინა საერთაშორისო იურიდიული აღიარება. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა გერმანიამ, პოლონეთმა, ფინეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, არგენტინამ.<sup>3</sup>

1. ქართველი საბჭოთა კიციკლოპედია, ტომი „საქართველოს სისტემა“, 1981 წელი, გვ. 81.

2. ქართველი საბჭოთა კიციკლოპედია, ტომი „საქართველოს სისტემა“, 1981 წელი, გვ. 82.

3. ადგენეტრაშვილი, „მთავრობის ქვეყნების კონსტიტუციები“, თბ. 1992, გვ. 22.



მთელი 1919-1920 წლების მანძილზე მთავრუმშვილული დელგაცია პარიზის საზაფო კონფერენციის მონაწილეობის სახელმწიფო ოფიციალური სტატუსის სთხოვდა, ეცნოთ დამოუკიდებელი საქართველო „დე ფაქტო“ და „დე იურიდ“, მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის, აშერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და სხვა ქვეყნების ღიაციალური წარმომადგენლობა ამ კონფერენციაზე ფეხს ითრევდა, აჭიანურებდა ამ მიმართულებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. მრავალ მიზეზთავან მთავარი მაინც ის იყო, რომ ანტანტის ქვეყნები ელოდნენ იმ ღამერთობების წარმატებას, რომლებიც კოლჩაქმა, დენიკინმა, იუდენიშმა, ვრანგელმა და სხვებმა წამოიწყეს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. კვლელა ეს თურნი გენერალი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის ლოშუნგით გამოიღია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ანტანტა უპირისპირდებოდა მონარქისტული რუსეთის ინტერესებს, რომლის განუყოფელ ნაწილად, მათი აზრით, საქართველოც წარმომადგენებოდა.<sup>1</sup> მაგრამ მოქედავად ამისა, 1920-21 წლებში ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და სხვებმა დე იურიდ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.<sup>2</sup>

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით მეშვეოიკურმა მთავრობამ სასწავლოდ დაცო საზაფო ხელშექრეულება თურქეთიან, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სასაზღვრო ხაზი, რომელიც ოტომანთა იმპერიას საქართველოსაგან, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან გამოყოფდა, მაგრამ საზაფო ხელშექრუ-

1. ა.სურგულაძე, ამერიკებაშვილი. გაზით „კომუნისტი“, 1989 წლის 3 ივნისი „რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშექრეულება“. გვ. 3.

2. ა.დემუტ-რაშვალი, „მსოფლიო ქვეყნების კომიტიტუციები“, თბ. 1992, გვ. 23.



ლება რატიფიცირებული ან ყოფილა, ამდენად კუთხით სამართლებრივ დოკუმენტად ან მიიჩნევა.<sup>1</sup>

1918 წლის 10 ივნისს სრულიად რუსეთის საბჭოების V ფრილობაში მიიღო დადგენილება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მარითადი კანონის – კონსტიტუციის მიღების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდოდა მისი გამოქვეყნების შემდეგ. კონსტიტუციის 49-ე მუხლით სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განაგებდა საერთო სახელმწიფო მინისტრების უკულა საკითხს, როგორიცაა: გ) საზღვრების დადგენა და ცელილებები, რსფსრ ტერიტორიების ნაწილების ან მათზე უფლებების მოცილება; დ) საზღვრების დადგენა და რსფსრში შემავალი საოლქო საბჭოების კომპლექტაცია და მათ შორის დაცვის გადაჭრა; ე) რსფსრ ტერიტორიების საერთო აღმინისტრაციული დაყოფა და საოლქო გაერთიანებების დამტკიცება.<sup>2</sup>

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1918 წლის ივნისში განსახლებულ წარადგინა საზღვრების ტექსტობრივი აღწერა, რომელიც შესაბამებოდა თბილისის გუბერნიის ყრისის ოლქის და ნაწილობრივ შეიც ზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრების გრაფტულ მოხაზულობას და დატანილი იყო ამიერკავკასიის მხარის 20-ერთსან (1/840000) რუკაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარდგენილი საზღვრები ერთა ლიგაში აღიარა (იხილეთ დანართში ერთა ლიგის რუკა).

1. ქართული საბჭოთა ქციალობებია, ტომი „საქართველოს სირ“, გვ. 82.

2. Атлас «ВЕЛИКИЙ ОКТЯБРЬ», изданный ГУГК СССР в 1987, 1988 г., стр. 138.



1918 წლის 4-6 ივნისს კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე წარმადგენლად ცნობილია ქართველი მეცნიერმა პავლე მარტინი ინგოროვებაში მომზადა სპეციალური მოკლე სამახსოვრო ცნობარი საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა კონსტანტინეპოლიში ქათოლიკე ქართველთა საკანის სტამბაში 1918 წელს. მართალია, აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივი ხასიათის არ არის მავრამ, მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასში სრულყოფილადაა განხილული საზღვართან დაკავშირებული გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული საკოთხები. სწორედ ამიტომ სრულად მოგვყავს ეს მონაცემები: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს ისტორიულად, გეოგრაფიულად, კონომიკურად და ეთნოგრაფიულად.

საქართველოს საზღვრები ამონხაზა ოცი საუკუნის ისტორიაში; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული კრიობით.

საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკულ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყნა-შემოსუარებული ბუნებრივი საზღვრებით. საქართველო მიაგვას ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყავა:

- ჩრდილოეთით მას აქვთ კავკასიონის ქედი-მისი მთავარი შტოებით;

- სამხრეთით მას ზღუდავს - აგრეთვე თოვლიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა: სამხრეთ-კავკასიის მთავარი წყალთ-გამყოფი ქედი (მტკქარისა და ჭოროხის აუზების სამხრეთი მიჯნაზე შემორტყმული);

- დასავლეთით არტყავა შავი ზღვა;

- და მხოლოდ ერთის ვიწრო პირით - აღმოსავლეთის მხრიდან - კვერის საქართველო აღვრძელების ბარსა, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთიანი ხაზი გაკვრბა: კავკასიის მთავარი მდინარე მტკქარი, თავისი შემდინარეებით: ძველი



## და აღაზან – ქურმუხით.

საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრებული გეოგრაფიულ მიჯნებზე – წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს კონომიტურ მთლიანობას. ამ ტრაპოგრაფიულ ზღუდვებში მოქცეული მხარე-კუნძული არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანიულად მთლიანი სამეურნეო-კუნომიტური პროცესია. თვითუკელი მხარე ამ ქვეწისა მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამავე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდვებით, და მიმტებაც არცერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია კონომიტური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოქარა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც – თითონ გეოგრაფიული პორტებისა გამო – ყველა არტერიებით გადაბმულია მრთვლითან, – ეს იქნებოდა ერთი ორგანიული სამეურნეო ეკონომიტური სხეულის დასახირება. და თავისითავად შემთხვევითი როდის ისტორიული გაურთისანება საქართველოს ერთ კოლექტივად ზემოხსნებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ პქნიდა გეოგრაფიის ლოგიკა; ისტორიას გენეტიკური კავშირი პქნიდა საქართველოს ორგანიულ კუნომიტურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან.

დასასრულ საქართველოს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. როდესაც ეთნოგრაფიაზე ვამხობთ, ჩენ მხედველობაში გვაქვს რასაკეირველია არა ცალკე სოფლები, ან ცალკე რაიონები რომლის გამოიიშვა შეუძლებელია მისი ბუნებრივი სამეურნეო-კუნომიტური პინტერლანდისაგან; ეთნოგრაფიაზე მსჯელობის დროს, ცხადია, სახეში უნდა გვქონდეს მრთელის პერსპექტივა, და არა ცალკე ხელოვნური ჩამონაჭრები ორგანიულად მთლიანი ტერიტორიიული სხეულისა. და საქართველო, – ასე კლასიკურად დამთავრებული თავის საზღვრებში – თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე; ჩამოქნილი ერთ ორგანულ სხეულად – როგორც ბუნებრივი სამეურნეო-



ექონომიკური მთლიანობით, ისე მრავალ -საუკუნოვანი სახელმწიფო იურიუბრივი და ისტორიულ - უკულტურული პირობების ჩატარებისათვები – ეს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც დიდ ერთფერისტურაში წარმოადგენს.

საზღვრული საქართველოს სახელმწიფოსი (ეს ამავე დროს საქართველოს ისტორიული საზღვრებია) – შემდეგი არის:

ა) ჩრდილოეთით: კავკასიონის მთავარი ქედი და მისი შტო კავკასიონის პირიქითელი ქედი.

საზღვარი დაიწყება მაკეფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, – საცა კავკასიონის მთავარი ქედი უახლოედება შავ ზღვას, და ომძლის ჩრდილოეთით ეს ქედი ჰკარგავს ველურ ხასიათს. საზღვარის ხაზი გასდეს ჯერ მდინარე მაკოფსეს-შესართავიდან დაწყებული ვიდრე სათავეებამდე, გაივლის დიდი ფსეუშხოს მწვერვალის, მიკუცება წყალთა გამყოფ ხაზს მდინარეების ტუაფსესა და აშეს შუა, და მიადგება კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს კოითხის უდელტეხილიდან 20 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით. მოკიდებული ამ ჰუნტებიდან საქართველოს საზღვარი მისკუცება კავკასიონის ქედებს: ვიდრე ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს; ვაინქ-ფარსის მწვერვალიდან ვიდრე შავი კლდის მწვერვალამდე ყაზბეგის მთის სისტემას, ევრედ წოდებულ კავკასიონის პირიქითელ ქედს (Bokonosz Kaukazski Khetebeti), რომელიც ერთი უმთავრეს მთაგრეხილთაგანია კავკასიონის ქედზე; შავი-კლდის მწვერვალიდან მოკიდებული-ხელახლა კავკასიონის მთავარ (წყალთაგამყოფ) ქედს ვიდრე მწვერვალამდე 11389 ფუტის სიმაღლისა, რომელიც მდებარეობს ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე.

მთელი ეს ჩრდილოეთი საზღვარი საქართველოსი კავკასიონის ქედებზე, – მიკუცება დღევანდელ აღმინისტრატიულ საზღვრებს შავი ზღვის სანაპირო გუბერნიისას, ხოზუმის ოლქისას, ქუთაისის გუბერნიისას,



ტფილისის გუბერნიისას და ზაქათალის ოლქისას – შემოვაის მცირეოლების ცვლილებით ტფილისის გუბერნიის საზღვრულებელი საქართველოს საზღვრებში შემოდის სოფ. ლარისის რაიონი (მდინ. თერგის ხეობა – ვიდრე პუნქტი ამდე სოფ. ლარისიდან ორ კილომეტრზე ჩრდილოეთი), რაც შეადგინს საქართველოს მხარის ხევის ნაწილს; ხოლო ტფილისის გუბერნიიდან გადადის საჩინის საზღვრებში სოფ. სახანოს რაიონი (ძღ. არღუნის ხეობის ნაწილი – დაწყებული პუნქტიდან, რომელიც მდებარეობს მდ. ბლუხას შესართავის და მდ. მეშეხის შესართავის შუა მანძილზე).

ბ) აღმოსავლეთით: მდინარეების – ჭურმუხისა და ალაზნის აუზების აღმოსავლეთი მიჯნა, მდ. მტკვარი, და მდ. ძეგამი.

საზღვარის ხაზი მიპყება ჯერ ქედს, რომელიც ჩამოვარდება ზემოხსენებული მწვერვალიდან 11389 სიმაღლისა და გაივლის რა გზად მწვერვალებს 8568 ფუტის სიმაღლისა, უსახელო მწვერვალს 3682 ფუტის სიმაღლისა, – მაადგება მდ. ყაშმარის (ცნობილ ქვემოდ ყარაჩაის სახელით) – ვიდრე ეს მდინარე შეერთვოდეს მდ. აგრიჩაის მოკიდებული ამ პუნქტიდან საზღვარის ხაზი გაივლის ჯერ ბოზდ-დაღის მწვერვალს შემდეგ უსახელო მწვერვალს 1684 ფუტის სიმაღლისა (რომელიც მდებარეობს ყონიერის ქედზე), და მაადგება მდ. მტკვარის – მდ. ალაზნის შესართავთან. მოკიდებული აქედან საქართველოს საზღვარია ჯერ მდ. მტკვარი ვიდრე მდ. ძეგამის შესართავამდე, ხოლო შემდეგ – მდ. ძეგამი ვიდრე სათავეებამდე (ალაგელარის მწვერვალიამდე – მტკვარ-არაქსის წყალთაგამყოფ ქედზე).

გ) სამხრეთით: მტკვარ არაქსის მთავარი წყალთაგამყოფი ქედი, – ვიდრე ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრამდე, საიდანაც იწყება საღარ ოლქები საქართველოსა და ოსმალეთს შორის.

საზღვარი, მოკიდებული ალაგელარის მწვერვალიდან, მიპყება მთავარ წყალთაგამყოფ ქედს, რომელიც გახდეს



მდინარების მტკვარისა და არაქსის აუზების შუა და მიღის  
სულ ამ ქედზე გაყოლებით ვიღირე უჩთაფალი მტკვარი  
მწვერვალამდე, — საიდანაც დაიწყება ბრესტის საზღვარი.

ბრესტის ხაზის სამხრეთით მდებარე საქართველოს  
ორი მხარე: ბათომი და არტაანი — ამჟამად ბრესტის  
ხელშეკრულების ზონაში შედის\*). თანახმად ამ  
ხელშეკრულებისა — ამ მხარეთა მცხოვრებთ მიენიჭათ  
ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლება; დღეს-  
დღეობით კი ბათომი და არტაანი, წინააღმდეგ ბრესტის  
ხელშეკრულებისა დაჭრილია ოსმალეთის ჯარის მიერ. —  
ოსმალეთმა ასევე დროს მოახდინა ოკუპაცია ბრესტის სამიჯნო  
ხაზის ჩრდილოეთითაც — საქართველოს ნაწილის  
ახალციხე-ახალქალაქის მხარისა ვიდრე აბასოვებრამდე და  
აწყურამდე.

დ) საქართველოს დასაცავი საზღვარია — შავი  
ზღვა.

ტერიტორიას საქართველოს სახელმწიფო სას,  
მოთავსებულს ამ საზღვრებში, შეადგენს დღვანდველის  
აღმინისტრატორულის დანაწილებით შემდგვი პროვინციები  
(გარდა ბათომის და არტაანის მხარებისა, რომლებიც ბრესტის  
ხელშეკრულების ზონაში შედან):

გუბერნიები — ტფილისისა და ჭუთასისა\*\*); ოლქები  
— სოხუმისა. სოჭისა და ზაქათალისა\*\*\*; და ტფილისის  
პროვინციის სანაპირო მხარეები (ჩამონაჭრები ტფილისის  
პროვინციიდან რუსეთის მმართველობის მიერ მოხდენილი  
აღმინისტრატორული გადამიჯნით): ქვემო-ყარაბას კელი, ბამბაკი  
და ყაზახ-შამშადილი“.

\* ) სამხრეთ საზღვარი საქართველოს ამ ორი მხარისა-ბათომისა და  
არტაანისა-შემდეგად: ჯერ ჩილდირის მოქმის ხისტემა, რომელიც  
სამხრეთის მხრათ ზღუდვეს ჩილდირის ტბას; შემდეგ მტკვარ-არაქსის  
მთავარი ქალთავებრძევი ქედი — კადრე მდ. მტკვრის სათავეებამდე;  
აქედან ჭოროქ-არაქსის მთავარი წაგალთავამყოფი ქედი — კადრე  
ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრამდე 1914 წლისა.



\*\*) ტფილისის გუბერნია ხაზის შესწორებით – ჩრდილოეთის ქვეყნი – საქართველოს ისტორიულ საზღვრებები, ვ. ი. სოფელ ლარის რეილის რეილის  
მიმატებით და სოფელ სახანის გამოკლებით.

\*\*\*) სოჭის ოლქი – ძველს საზღვრებში (მდ. მაკაუხეს ხაზზე) –

საქათალის ოლქი – ხაზის ზემოდ ნაჩვენები  
მცირედები შესწორებით აღმოსავლეთ მიჯნაზე (მდ. ყაშუჩის  
გასწვრივ).

1919 წლის 16 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას  
შეორის დაიდო შეთანხმების აქტი,<sup>2</sup> იმ სერიოზული საფრთხის  
გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა  
დამოუკიდებლობას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მხარეები  
ვალდებულია არამ კრიტიკ გამოიყიდნენ თავისი შეარაღებული  
ძალებით თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც შეთანხმების  
მონაწილე მხარეების დამოუკიდებლობას ან ტურისტორიულ  
ხელშეუხებლობას ემუქრება. მაგრამ ეს არ უნდა  
გაუწევებულიყო იმ კონფლიქტებზე, რომელიც შეიძლებოდა  
მომხდარიყო საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა  
ტერიტორიის კურ კიდევ დაუმთავრებელი ვადამიჯვნის  
ნიადაგზე. აქეე იყო აღნიშნული, რომ თუ რომელიმე მხარე  
თავს დაესხმის კრიტიკის საზღვრის გამო დავის მიზნით,  
ის მეომარ საზღლმწიფოდ გამოცხადდებოდა. შეთანხმება დაიდო  
სამი წლის ვადით, თუ ამ ვადის ვასვლამდე დაარსდებოდა  
ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფიდა კველა მის  
მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და საზღვრების  
ხელშეუხებლობას, რესპუბლიკების ხალხთა ლიგაში  
შესვლისთვავე აღნიშნული შეთანხმება ძალადაკრიგულად  
ჩაითვლებოდა. ასევე, ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას

1. პ. პეტროვეგა, „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“.  
1918 წ. კონსტიტუციებილი. გვ. 1-3.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი  
აქტების კრებული, 1918-1921წ.. გვ. 275, 276, 277.



— სომხეთს უფლება ეძღვოდა ორი კვირის განმავლობაში შეერთებოდა აღნიშნულ შეთანხმებას. იგი რატიფიცირებულ იქნა 1919 წლის 22 ივნისს.

1919 წლის 3 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დებს ხელშეკრულებას სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან სადაცო საკითხების შეთანხმებით ან არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულია 1919 წლის 14 ნოემბერს.<sup>1</sup>

1920 წლის 5 თებერვალს საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობებს შორის დაიდო ხელშეკრულება თავისუფალი ტრანზიტისა და უბაჟო გადასახდელების შესახებ. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა 1920 წლის 19 მარტს.<sup>2</sup>

რესეფის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა პირველი ქვეყნა იყო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც კანონიერი წარმონაქმნი. შესაბამისად 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ხელშეკრულებას დებს რესეფის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან.<sup>3</sup> ეს დოკუმენტი მიჩნეულია სახელმწიფო საზღვრის მარგელირებელ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტად. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რესეფის შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პირეს გასწვრივ ასახის მთამდე; გადადის ასახისა და ავაპეტის მთაზე და მიდის კოფიდი შავი ზღვის, ჭეთასის და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ

1. საქ. დემოკრ. რესპ. სამართლებრივი აქტების ქრებული, 1918-1921წ. გვ. 315-316.

2. იქვე გვ. 364-365-366-367.

3. საქ. ქომ. პარტ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტების ფაცელდღიური გაზეთი „კომუნისტი“, 1920 წლის 8 ივნისი, №5.

გაზეთი „კრონიკა“, 1920 წლის 8 ივნისი, №126.



საზღვრით მიღის სომხეთის საზღვრამდე. ხელშეკრულების მე-4 მუხლით რუსეთმა ვალდებულება იყისრა, მიმდინარე საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად აღიაროს თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ცველა პაზრიგი და ოლქები, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქი, გარდა შევის გუბერნიების ნაწილებისა, რომელიც გადადის საქართველოს საზღვრებში პირველი და მესამე მუხლების ძალით. რუსეთმა ასევე მზადყოფნა გამოიტვია საქართველოს შემადგენელ ნაწილები ცნოს ყოფილი სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გადაეყიდა მის ხელში ამ სახელმწიფო კრიტერიულებთან დადგებული ხელშეკრულების ძალით. ხოლო რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადგებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების I-ლი მუხლის თანახმად საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრების, და ზაქათალის ოლქის სადავო ნაწილების საკითხი გადაეცა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას. აღნიშნული შეთანხმება განუყოფელ ნაწილები იქნა აღიარებული, ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმება რატიფიცირებას არ საჭიროებდა, კინადან ხელმოწერისთვის შევიდა ძალაში. ხელშეკრულებაში ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. ამრიგოდ, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, რომელიც განამტკიცა სტატუსი საერთაშორისო მასშტაბთ, განარდა საქართველოს დამოკიდებულობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა. ამით საფუძველი ჩაეყარა ახალი თანასწორუფლებისან ურთიერთობებს რუს და ქართველ ხალხებს შორის.<sup>1</sup> აქევე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სფერ რესპუბლიკის სახეობსაბჭოს 1919 წლის 15 ივნისის

1. ლ. ლ. თოიძე, „ქართველი დიპლომატია”, ტომი I, გვ. 193. თბ. 1994 წ.



დარექტივთ აღმინისტრაციული საზღვრების გამიჯვნის საკითხი შინაგანობის უნდა გადაეწყვიტა. 1920 წლის 15 ივნით თებერვალში სრულიად რესეტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმთან შეიქმნა აღმინისტრაციული კომისაა, რომელსაც დაეკისრა ახალი აღმინისტრაციული გამიჯვნის პრინციპების შემუშავება. აქვთნ გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკასა და რესეტის სფეროს რესპუბლიკას შორის აღმინისტრაციული საზღვრის საბოლოო გაფრთმება დაიწყო 1921 წელს და მას საფუძვლად დაედო ახალი აღმინისტრაციული დაყოფის დებულება, რომელიც სრულიად რესეტის მე-8 მოწვევის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1921 წლის მარტში მიიღო. საზღვრის შეკვლის საკითხს იმ პერიოდში წკეტდა სრულიად რესეტის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული აღმინისტრაციული კომისაა, მათთან გამოცემული ცირკულარებისა და იმსტრუქციების ბაზაზე. მათ შორის კველაზე მნიშვნელოვანია: იმ საკითხთა განხილვის წესი. რომელიც ცალბმრივ დაყოფას ეხება—1922 წლის 18 მაისისა; ტრიიტორიის გადაცემის წესი. 1923 წლის 21 ნოემბრისა.

ინფორმაცია საქართველოს აღმინისტრაციულ-ტრიიტორიულ გარედაქტნათა შესახებ რესეტის იმპერიაში ყოფნისას და რევოლუციის ნიმუშატორები აქტების წესისა, რომელიც აწესებდა ან ცვლიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკასთა მომიჯნავე აღმინისტრაციული კრონელების საზღვრებს 1987 წლის მდგრადულით (საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრი) თან ერთვის №1-ლი დანართის მიხედვით.<sup>2</sup>

1. Сулькевич С.И. Административно-политическое строение Совета СССР. (материалы о территориальных преобразованиях с 1917 г. по 1 июля 1925 г.). Государственное издательство, Ленинград. 1926 г., стр.XIV.

2. Систематическое собрание законов РСФСР, действующих на 1-е января 1928 года (7 ноября 1917 г. – 31 декабря 1927 г.), том первый. Юридическое издательство НКЮ РСФСР, Москва. 1929 г.



განსახილველი პერიოდისათვის, 1921-1927 წლებში, საქართველოს არქივებში მკვლეული არ არის დოკუმენტები რაც მიწათმოწყობის განხორციელების დროს საქართველოს მთავრობის რუსეთის საზღვრის გამო წარმოქმნილი დავის შესახებ. ასევე მოუკვლეველია რაიმე დოკუმენტი მიწათმოწყობის დარგში უფლებათა დარღვევებისა და მოშლილი მფლობელის აღდგენის თხოვნა-მიმართვების შესახებ.

1920 წლის 12 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აღერძოვებანის სიცავალისტურ რესპუბლიკას შორის დაიღო საზაო ხელშეკრულება. მისი მეორე მუხლით მხარეებს შორის საზღვრად დაიღო ბორნიალოსა და ფაზახის მაზრებს შორის გაელებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვორჩაშის მთაზე, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიმართულ წყაროებამდე; ეს წყაროები ორის ვერსიის. მანძილზეა ყიზილჩას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მოდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსასა და ბაბაკირის მთების ქედს გადადმა მის აღმოსავლეთით ფარდობებზე, წითელ ხიდს შეა გაუვლის, მერმე გაჰყენება ძველ საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფრილოს ხიდს გაუვლის შეა ზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალაღვისის ქედამდე, მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ქედს საადმინისტრაციო საზღვრით პალან-ტუკნის მთის სამხრეთ კალთების ბოლომდის, მერე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუს დოკეტ 5 ვერსიანის).

მესამე მუხლით წითელი ხიდისა და ფრილოს ხიდის წინა მდებარე ზონები, აგრეთვე მტკვრის მარცხნა ნაპირი, აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ცნობილი იქა ნეიტრალურ ადგილებად ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ



ხელშეკრულების დადებიდან შემდეგ საზღვართა შორის 1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც მდინართა და პლანისა და თბილი. მაზრის სააღმინისტროცი საზღვრითა, 2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფელ ფაზილ-ჰაჯალისა, ფერქალისა, სადგ. შაქარლი და ლლა მტკრისა იმ ჭალებთან, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქნებან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩობან-დაღის ქედის დასავლეთ კალთების ბოლომდის და შემდეგ ჩობან-დაღის ქედით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სიღნაღის მაზრის სააღმინისტროცი მიჯნამდე. კერძა ჩამოიცვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია განსაკუთრებით (იხ. რუქა დოკ. 5 ვერსიანი).

1. 1927 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია, უსტიციის სახალხო კომისარატის გამოცემა თვეიდის 1927 წლი გვ. 101-102-103, 117.

2. Информационный сборник междуведомственной комиссии по пограничным вопросам Совета безопасности Российской Федерации, Изд-во «Граница», стр.80.



ძალით. ხელშეკრულება საქართველოს სსრ-სთან აფხაზეთის სსრ-შ გაფორმდა 1921 წლის 16 დეკემბერს, მაგრამ უკანასკნელი უნდა აღინიშნოს, რომ პილენკის თემის გადაცემაზე დადგენილების ნომრები მოღვაწებულია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის საკრთაშორისო-სამართლებრივი გაფორმების შესახებ კრებულიდან და დადგენილების დჯინის ასლი საქართველოს არქივში არ მოიპოვება. ასევე საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში აღნიშნული პერიოდის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებები ინახება დახურულ ფონდში და ამ მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა მისი მოძიება. რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო კომისიამ, აღნიშნული ტერიტორიის შესახებ ცალკე უნდა იმსჯელოს, ვინაიდან თვით რუსეთის კრებულზე დაყრდნობით გამოყდის, რომ ეს ტერიტორია ამჟამადაც შედის საქართველოს აფხაზეთის ნაწილში, ვინაიდან დადგენილება ტერიტორიის უკან დაბრუნების თაობაზე კრებულში ნახსენები არ არის.

1929 წლის 24 აპრილს სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა საზღვარი სოფელ აიბგას რაიონში, მოცემული სოფლის სამხრეთით, საკოლონიზაციით ფონდის საზღვრების ფარგლებში, რომელიც აღნიშნულია რეკოგნისტირებით და დატანილია რუსეთის სეისტ სოფის რაიონის სატყეო-სამურნეო რეგიაზე.<sup>1</sup> დაბა აიბგა მდებარეობს მდინარე ფხოუზე და გაყოფილია ორ – მარჯვენა (რუსეთის ტერიტორია) და მარცხენა (საქართველოს ტერიტორია) ნაწილად. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1929 წლის 24 აპრილის №90 თქმით დადგინდა საზღვარი საქართველოს სსრ თანხმობის გარეშე, ამდენად

1. Информационный сборник междуведомственной комиссии по пограничным вопросам Совета безопасности Российской Федерации. Издательство «Граница», стр.80.



აღნიშნული იქმი ეწინაღმდევება საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლს, რომლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრის შეცვლაზე საჭირო იყო თვით მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობის შესახებ იქმში არააფერია მითითებული. აღნიშნული საკოთხი უნდა დამტკიცებულიყო არა ოქმით, არამედ დადგენილებით, რასაც ადასტურებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის ბ) პუნქტიდ და 19 მუხლი). ამავე იქმში მოხსენიებულია 1927 წლის 5 ოქტომბრისა და 1928 წლის 20 აგვისტის სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების საქართველოს სსრ-სა და ჩეჩენის ავტონომიური ოლქს შეირის საზღვრის გაურმებისა და მისი აღწერილობის დამტკიცების შესახებ.

1929 წლის 11 ივლისს სერედიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოი მიიღო დადგენილება საქართველოს დარაიონების შესახებ. დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამსახურის სისტემის მიხედვით – ოლქებად, რაიონებად და სოფლის საბჭოებში გაერთიანებულ აღმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად. დადგენილების მე-2 მუხლით მოეწყო შემდევი ღლები:

1) ტფილისის ოლქი – იმ დროისათვის არსებული ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების შედგენილობით და ცენტრით თბილისში.

2) ქახეთის ოლქი – იმ დროისათვის არსებული ქახეთის მაზრის შედგენილობით და ცენტრით სოფ. გურჯაანში.

3) გორის ოლქი – იმ დროისათვის არსებული გორის მაზრის შედგენილობით და ცენტრით ქ. გორში.

4) ქუთაისის ოლქი – იმ დროისათვის არსებულია, ქუთაისის, შოროპნისა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრების შედგენილობით და ცენტრით ქუთაისში. დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ დადგენილების მე-2 მუხლით მოწყობილი ოლქები, აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრები დაიყო საადმინისტრაციო-სამეურნეო რაიონებად, ხოლო რაიონები – სოფლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. რაიონების და სოფლის ერთეულების რაოდენობა, საზღვრების დაწესება უნდა განეხორციელებინა ცენტრალურ ადმინისტრაციულ კომისიას საერთო დირექტივებით, რომელსაც დაამტკიცებდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ოლქების, რაიონების და სოფლების მოწყობა განხორციელდებოდა 1929 წლის 1 ოქტომბრიდან. აღნიშნული დროიდანვე გაუქმდებოდა ტფილისის, ბორჩალოს კახეთის, გორისა და ქუთაისის, შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრები და კველა სათემო საბჭო. მე-6 მუხლით აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ ისეთის ავტონომიურ ილქებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის უნდა წარედგინა თავიანთი მოსაზრებანი ცვლილებათა შესახებ, რაც შეტანილი უნდა ყოფილოყო აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის მოქმედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სისტემაში.<sup>1</sup>

ამავე დღეს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განმახორციელებელი ცენტრალური კომისიის და საოლქო კომისიების დაარსების შესახებ.

I. საქ. სსრ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა. ტფილის 1930 წელი ს. ს. ცაკას საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა გვ. XXII. XXIII.



1929 წლის 23 აგვისტოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკის აღმინისტრატორულ-ტერიტორიული კრიულების მოწყობის წესის შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ ახალი აღმინისტრატორულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ 1929 წლის 11 ივნისს გამოცემული (საქართველოს სსრ კან. ქრებ. 1929 წლის №16, მუხლი 168) დადგენილების დასამტკიცებულად, სრულიად საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს და დამტკიცეს საქართველოს აღმინისტრატორულ-ტერიტორიული დაყოფა დადგენილებაზე დართული განრიგების თანახმად (დანართი №1), ასევე დაამტკიცა სასოფლო საბჭოების მოწყობის, ხელისუფლების სარაინო და სოლეჭი თრგვანოების მოწყობის წესი.<sup>1</sup>

1929 წლის 19 სექტემბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურ მა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმინისტრატორულ-ტერიტორიული დაყოფის დამტკიცებისა და საქართველოს სსრ ახალი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ 1929 წლის II ივნისის დადგენილების თანახმად დაამტკიცა დანართი №1-ით<sup>2</sup> სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, დადგენილებასთან დართული განრიგების თანახმად.

1. საქ. სსრ. აღმინისტრატორულ-ტერიტორიალური დაყოფა. ტფილის 1930 წელი ს. ს. ცაკის საორგანიზაციო განცოდების გამოცემა გვ. XX-XXI.

2. საქ. სსრ. აღმინისტრატორულ-ტერიტორიალური დაყოფა. ტფილის 1930 წელი ს. ს. ცაკის საორგანიზაციო განც. გამოც. გვ. XXI-XXII.



1929 წლის დადგენილებებით დამტკიცებული ცელიღები 1927 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცელიღების სახით არ შესულა.

1931 წლის 19 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, აფხაზეთის სს რესპუბლიკა შევიდა საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გაფრცელდა კონსტიტუციის მე-IV თავის მოქმედება.

დადგენილების მე-2 მუხლით საქართველოს სს რესპუბლიკასა და აფხაზეთის სს რესპუბლიკა, მორის ქ. თბილისში 1921 წლის 16 დეკემბერს დადგებული ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვალია.<sup>1</sup>

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ამი კავკასიის ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის—აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ რესპუბლიკებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების დაწესება და ცვლილებები მარტივად არ ხდებოდა. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მეტად როგორი სახალხო მუერნების რაციონალური ორგანიზაციის მიზნით (იხ. პლენუმის მასალები ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკის დარაიონების შესახებ),<sup>2</sup> საქართველომ თავის ყრილობაშე განიხილა საკითხები სახალხო მუერნების გადანაწილების მიზნით და მიიღო დადგენილება ახალი

1. საქ. სსრ. კანონია, საქ. სსრ უქაღლები საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა კრებული 1921-1940 წ. ტომი I გვ. 178.

2. საქ. სოც. საბჭ. რეს. მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონია და განკარგულებათა კრებული №13. 1929 წელი მუხლა 119.



დარაიონების ცხოვრებაში გატარების შესახებ. საქართველო-აზერბაიჯანის აღმინისტრაციულ-სამეურნეო კანზევართისა მრავალგზის გადაისინჯა ენერგეტიკული ბაზის, სატრანსპორტო კავშირურთიერთობის, სადაც მიწის, სახამოერო და სატყეო ტერიტორიების გათვალისწინებით.

1936 წლამდე ფედერაციის დაშვამდე შეცვლილ საზღვრებს მრავალგზის ამტკიცებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ცნოტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სამიწათმოქმედო კომისიის პრეზიდიუმები. საქართველოს არქივში საგამო რაოდნობითა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი (დაახლოებით 50-მდე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ცვლილებათა შესახებ). არსებობს აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების დედანიც, მაგრამ მათი შემდგომი საკანონმდებლო წესით კუთხომშება არ მომხდარა. ვინათვან ამ პერიოდისათვის 1924 წლის სსრკ კონსტიტუციის I-ლი შეხვდი. ბ) პუნქტის ძალით მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრების შეცვლა სსრ კავშირის გამგებლობას ეჭვიმდებარებოდა. ამას მოწმობს ის წარუმატებელი ხანგრძლივი ძიებანი, რომელიც საქართველოს არქივებსა და წიგნსაცავებში წარმოებდა. დანართი: საქართველოს იღუსატრინებული რუკა, მასშტაბი 1:400000. მასზე ნაჩვენებია საზღვრის შეცვლილი უბნები, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით წარმოიშვა, მაგრამ სსრ კავშირის უძალესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების ასლები ჩვენს არქივებში არ აღმოჩნდა (არ არის გამორიცხული იყოს რაიმე საიდუმლო საქმეები და მასთან დაშვება პქინდეს მხრილოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სადელიმიტაციო-სადემარკაციო სახელმწიფო კომისიას, ყოველ შემთხვევისთვის მკელევართათვის მოუწვდომელია). ანალოგიური მდგრადარეობა შექმნილი საქართველო-სომხეთის საზღვრის შესახებაც. არქივებში ბევრია აღმოჩნდილი მიწის,



Ծփութա და სաժოւრების თառեաზე დაკის შესახებ დოკუმენტების ასლები, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციულ დაცუ ფუნქციონირების პერიოდს განკუთვნება, წარმომოძიეთ დაკა ყველა დოკუმენტში ფიქსირდება 1921 წლის 6 ნოემბრის საქართველო-სომხეთის მორის დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიწათმოწყობის ჩატარების დაწყებიდან წარმოიშვა და სასაზღვრო ხაზის ტრანსფორმაციის ზონაში მიმდინარეობდა. ასევე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით დგინდებოდა აღმინისტრაციული საზღვრები საქართველო-სომხეთის საზღვრის სხვა უბნებზეც. მაგრამ მიღებული დადგენილებები შემდეგ საკანონმდებლო წესით არ გაფორმებულა. თუმცა სომხეთის სს რესპუბლიკამ 1927 წლის კონსტიტუციაში თავი დაიზღვა და 22-ე მუხლით სომხეთის სს რესპუბლიკის ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას მაკუთხა: სომხეთის სს რესპუბლიკის ხელისუფლების ყველა ორგანოს დადგენილებების გაუქმება, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატურის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებისა და დეკრეტების გაპროტესტება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.<sup>1</sup>

საქართველოს სსრ პირველ და მეორე კონსტიტუციებს შორის არსებული პერიოდის – 1922–1927 წლებისათვის დამახასიათებელია აღმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების ინტენსიური გადაკეთება-გარდაქმნა, რასაც საფუძვლად უდევს:

1. მრეწველობის თავმოყრა (დაჯგუფება);
2. ტექნიკური კულტურების თავმოყრა (დაჯგუფება);

1. Собрание Узаконений и Постановлений Рабоче-крестьянского Правительства С.С.Р.Армении, №1, 1928г.



3. მოსახლეობის სწრაფვა სამრეწველო განმანათლებელი  
პუნქტებისაკენ;
4. მიმოსელის, რეინიგზის, გზატკეცილებისა და ზასიათი;  
გზების გაუმჯობესება და ხასიათი;
5. მოსახლეობის რაოდენობა;
6. მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმინისტრაციულ-ტერიტორიული რეარგანიზაცია და მის შესაბამისად ამათუ იმ ერთეულის ფარგლებში მომქმედი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა რეფორმისტურუქვა, ხშირად ძირითად საკითხად დგებოდა საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთა წინაშე.

1936 წლის 5 დეკემბერს ამცენკავკასიის სუსსრ გაუქმდა და საქართველოს სსრ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაში დამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის ქონისტიტუცია. როგორც ცნობილია, საბჭოების სრულიად საკავშირო პაგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს სსრ კავშირის ქონისტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ისტალინმა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცა ქონისტიტუციის პროექტის მე-17 მუხლის შესწორების, მოითხოვდნენ, რომ ქონისტიტუციის პროექტიდან სრულად გამორიცხულიყო მე-17 მუხლი, რომელშიც საუბარი იყო სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გასვლის უფლების შენარჩუნებაზე. ისტალინის აზრით ეს წინადაღება სწორი არ იყო და ყრილობას არ უნდა მიეღო, ვინაიდან სსრ კავშირი თანასწორუფლებიან მოკავშირე

I. ქართული საბჭოთა ქნიკულობრივია ტემა I. თბილისი 1976 წლის გვ. 389



რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. კონსტიტუციაში  
რომ ამოიშალოს მუხლი სსრ კავშირიდან თავისუფლებულ  
გასვლის უფლების შესახებ, ეს ამ კავშირის ნებაყოფლობითი  
ხასიათის დარღვევა იქნებოდა და ეს ნაბიჯი არ უნდა  
გადადგმულიყო. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ  
იუწინ მსურველები, რომლებთაც კონსტიტუციიდან უნდოდათ  
ამოეშალათ 22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 29 მუხლებში  
დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების  
აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა მრავალებად და  
ოლქებად. ი. სტალინის აზრით, ეს წინადაღება მიუღებელი  
იყო, ვინაიდან სსრ კავშირში არსებობდნენ აღაშიანები,  
რომლებიც შხად იუწინ დადი ხალისით და დაუდალავად  
გადაეცეს-გადამიეცეთმნათ შხარებისა და ოლქების საზღვრები  
და ამით არყვ-დარევა და ურწმენობა შეეტანათ მუშაობაში.  
ამიტომ, მისი აზრით, კონსტიტუციის პროექტს უნდა შეუქმნა  
ისეთი ღაგამი. რითაც დაამკვიდრებდა რწმენით  
ატმოსფეროს, სტაბილურობასა და სიცხადეს.<sup>1</sup> სურაევ 1936  
წლის კონსტიტუციაში მე-6 მუხლით დამტკიცდა, რომ მიწა,  
მისი წიაღი, წყალი ტყეები, ქარსნები, ფაბრიკები, მაღაროები,  
სამაღნები, რკინიგზის, წყლისა და საპარაზ ტრანსპორტი,  
ბანკები, კამერგამშელობის საშუალებანი, სახელწიფოს მიერ  
ორგანიზებული შსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები,  
აგრეთვე კომუნალური საწარმოები და ძირითადი საბინაო  
ფონდი ქალაქებსა და სამრეწველო პუნქტებში შეადგენდნენ  
სახელმწიფო საკუთრებას, ე.ი. საყოველოთა-სახალხო  
კუთხით და მუხლების შელისუფლების უმაღლეს რეგიონთა და  
სახელმწიფო მართველობის თრგანოთა სახით  
აქცენტებარებოდა: ე) მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვ-

1. ი. ბ. სტალინი სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის  
პროექტის შესახებ, კამიომცემლობა „კომუნისტი“, თბ. 1950 წელი,  
გვ. 37-44.



რების ცელიღგათა დამტკაცება; ე) მოკავშირე რესპუბლიკურ  
შემადგენლობაში ახალი მხარეებისა და ოლქების, პრინციპულური  
ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკაცება. მე-18-შენდების  
მოკავშირე რესპუბლიკური ტერიტორია არ შეიძლებოდა  
შეცელილიყო მისი თანხმობის გარეშე. 25-ე მუხლით  
საქართველოს საბჭოთა სიციალისტურ რესპუბლიკაში შევდა:  
აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, აჭარის ასს რესპუბლიკა,  
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. 57-ე მუხლით  
მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების  
უმაღლესი ორგანო იყო მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი  
საბჭო. მე-60 მუხლის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭო ბ) პუნქტის შესაბამისად ამტკიცებდა თავის  
შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკების  
კონსტიტუციებს და განსაზღვრავდა მათი ტერიტორიების  
სახლებებს<sup>1</sup>, ხელი სხრ კავშირის მოწვევის უმაღლესი  
საბჭოს I, III, IV და V სქესების მიერ მიღებულ ცელიღგებსა  
და დამატებებში კხედებით 18ა მუხლს, საღაც მოკავშირე  
რესპუბლიკას უფლება პქნდა უშუალო ურთიერთობა  
დაუშარებინა უცხო სახელმწიფოებთან. დაედო მათან  
შეთანხმებანი და გაუცვალა დიპლომატიური და საკონსულო  
წარმომადგენლობა. მე-18 ბ მუხლით – თითოეულ მოკავშირე  
რესპუბლიკის ეძლეოდა თავის რესპუბლიკურ საჯარისო  
ფორმირებათა ფოლის უფლება. მე-60 მუხლს დაემატა ე) პუნქტი:  
მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აწესებდა  
მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობას საერთაშორისო  
ურთიერთობებში. ვ) პუნქტით მოკავშირე რესპუბლიკა დღენდა  
რესპუბლიკურ საჯარისო ფორმირებათა შექმნის წესს. ამ  
კონსტიტუციის მიხედვით თუ ვიშვევდეთ სხრ კავშირის

1 სხრ კავშირის 1936 წლის 5 დეკემბრის ქანიტიტურა საქ. კ.  
პ. (ბ)ც. დ გამოიცემლობა 1936 წელი გვ. 13, 20.



წინა კონსტიტუციასთან შედარიგით მოკავშირე რესპუბლიკურის  
თხრერესებიდან გამომდინარე ყველა პირობა თურიდისტურის ჩამო  
დაცული.

1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს  
საბჭოების საგანგებო VIII კრიოლომამ დამტკიცა საქართველოს  
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც მისა მიწა წიაღი, წყალი, ტბი, ქარხნები, ფარიკვები  
მაღაროები, სამაღნოები, რესინგზის, წყლის და საპარო  
ტრანსპორტი, ბანკები, კავშირგაბმულოების საშუალებანი  
სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მსხველი სახელმწიფო  
სამეცნიერო საწარმონი. აგრეთვე კომუნალური საწარმოები  
და ძირითადი საბინაო ფონდი ქაღაქებისა და სამეცნიერებლო  
პუნქტებში, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფო  
საკუთრებად, ესე იგი ხაყოველთაო-სახალისი კუთვნილებად.  
საქართველოს რესპუბლიკა ხელისუფლების უმაღლესი  
ორგანიზის სახით მე-14 მუხლის გ) პუნქტით აწესდა  
აფხაზეთისა და აჭარის აკტონომიური სს რესპუბლიკურისა  
და სამხრეთ-ოსეთის აკტონომიური ოლქის საზღვრების; ე) პუნქტით აწესდა საზღვრებისა და სარაიონო დაყოფას  
საქართველოს სსრ-ისას. მე-16 მუხლით საქართველოს  
სსრ ტერიტორია არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მისი  
თანხმობის გარეშე. მე-19 მუხლით დამტკიცდა საქართველოს  
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემაღენლობა  
აფხაზეთის აკტონომიური საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკის, აჭარის აკტონომიური საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის აკტონომიური ოლქისაგან;  
აბაშის, აღიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღმულის,  
ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩის,

1. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია. სსრ. კავშირის  
მური მეწევის უსაღლესი საბჭოს I, III, IV და V სესიების მიერ  
მიღებული ცდლიდებებითა და დამატებებით. გამოიცემითა „კომუნისტი“  
თბილის 1950 წ. გვ. 9, 17.



გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-ხავერდის, ზეგდის, ბათუმის, თბილისის, თელავის, თიანეთის, ქასპის, ლაგოდეჟის, ლამბაზუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯორიკიძის, საგარევოს, სამტრედიის, სიღნაღის ტყიბულის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიის, კვარლის, ჩიხატაურის, ჩხარის ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკას, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ჭიათურის, ხაშურის, ხობის ჯუღულის-რაიონებისასგან და ქალაქების: თბილისისაგან და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.<sup>1</sup>

1937 წლის 14 მარტს კონსტიტუცია დამტკიცა სომხეთის სა რესპუბლიკაშ, ხოლო 1937 წლის 23 მარტს – კონსტიტუცია დამტკიცა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაშ.<sup>2</sup> 1937 წლის 15 ივნისს ქ. მოსკოვში ხელი მოეწერა კონვენციას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო ინციდენტებისა და კონფლიქტების განხილვისა და გადაწყვეტის წესის შესახებ.<sup>3</sup>

1938 წლის 23 მარტს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოსცა ოქთ. №63, რომლის 22-ე საკითხად განიხილეს რესპუბლიკის აღმინისტრაციული საზღვრების დაზუსტება, იმ რესპუბლიკათაშორისი თათბირის მასალების მიხედვით, რომელიც 1938 წლის 5-7 მარტს შედგა საქართველოს სსრ შინაგანმდებრის სახელმწიფო გადაღებისა და კარტოგრაფიის

1. ვნ. გრებენი ხაქ. სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978).) იმბეჭდის უნივერსიტეტის გამოცემლისა, თბილისი 1989 წ. გვ. 135-136-137.

2. Конституция Азербайджанской ССР, 1937г. Издательство «Власть Советов» при Президиуме ВЦИК, Москва, 1937г..

- «-, Конституция Армянской ССР, 1937 г.

3. Дипломатический словарь, том Ш, Изд-во «Наука», Москва, 1986г., стр. 316.



რესპუბლიკათაშორის განყოფილებასთან (ოქმის ამონაწერი წარმოდგენილია მთლიანად, ვინაიდან ქვემოთ იქნება შემსრულებელი განხილვა):

„აღინიშნოს, რომ 1 : 400.000 და 1 : 500.000 მასშტაბის რუკებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო საქართველოს სსრ შინახელმძიმის სახელმწიფო გადაღვისა და კარტოგრაფიის სარესუბლიკათაშორისო განყოფილებასთან ამა წლის 5-7 მარტს შემდგარი თათბირის შედევგად მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრივ. სოფ. ახერისის, ჩანახჩის და ბრდაზორის ფარგლებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სოფელი სომხეთის რესპუბლიკიდან 1934 წლის გადაუკა საქართველოს სსრ რესპუბლიკას, და რომ დანარჩენ საზღვრებში სომხეთის სს რესპუბლიკის მხრივ აღმოფხვრილი და გამოსწორებულია საზღვრების აღნიშვნის ცველა უმნიშვნელო არა სიზუსტეზე, რომლებიც მოხდა რუკების ანაბეჭდების დფურომაცით და რუკაზე სხვადასხვა ტრანგრაფიული მასალებიდან მონცემების არა ზუსტად აღნიშვნის შედევგად. საზღვრის უმნიშვნელო განსხვავება კი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მხრივ დიდი მოის ჩრდილოეთი საქართველოს სსრ ცაქის ცნობების მიხედვით, აღმოჩნდა სწორად აღნიშნული, რაც დადასტურებულია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ცაქის მონაცემებით-საზღვარი გადის ძლ. აღაზანზე.

ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი ქომიტეტი ადგენს: დამტკიცდეს აღმინისტრაციული საზღვრები სომხეთის და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების მხრიდან, თანახმად თანდართული და თათბირის მონაწილეთა მიერ დამოწმებული 1:500.000 მასშტაბის რუკისა საზღვრების აღნიშვნის დროს დამუშებული გრაფიკული (ტექნიკური) არასიზუსტის აღმოფხ-



## ვრის გათვალისწინებით.<sup>1</sup>

აღნიშნულ ოქმში, რატომდაც არ უნდა მიუღია  
გათვალისწინებული სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის  
მე 14-ე მუხლის ე) პუნქტისა და საქართველოს სსრ 1937  
წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული  
მოთხოვნები. ასევე დაშვებული იქნა შეცდომა საქართველოს  
სსრ 1937 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ე) პუნქტში,  
სადაც აღნიშნული იყო, რომ: აწესებს საზღვრებსა და  
სარაიონო დაყოფას საქართველოს სს რესპუბლიკისას.  
საქართველოს სსრ-ის საზღვრების დაწესებაში შეიძლება  
იგულისხმო მოკავშირე მეზობელ რესპუბლიკასთან საზღვრის  
დაწესებაც, რომ არ იყოს სსრკ კონსტიტუციის მე-14 მუხლის  
ე) პუნქტი. ამდენად, საქართველოს ცენტრალურ  
აღმასრულებელ კომიტეტს არ ჰქონდა კონსტიტუციური  
უფლება მოკავშირე რესპუბლიკითან აღმინისტრაციული  
საზღვრის დადგენისა, ამ შემთხვევაში დარღვეულია სათანადო  
საკანონმდებლო წესი და მიღებული დადგენილებები ოუზღვულ  
საფუძველს მოკლებულია. აღმათ ამიტომ სასწრავოდ  
საქართველოს სსრ უძალებელი საბჭოს პირველმა ხესიამ  
დღის წესრიგის პირველ საკითხად განიხილა საქართველოს  
სსრ 1937 წლის კონსტიტუციის მირითად კანონში მე-14,  
19 მუხლების ცლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ  
საკითხი და შესაბამისად, 1938 წლის 9 ივნისს  
საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს  
სსრ კონსტიტუციის მე-14, მე-19 მუხლების ცლილებებისა  
და დამატებების შესახებ.<sup>2</sup>

1. საქ. ს. ქ. ს. სტამბა დაკვ №319 (ტირაჟი 100) საქართველოს  
უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი ფონდი 284, ამონაშერი 1  
საქშე 3128 გვ. 54.

2. 1938 წლის 9 ივნისის კანონი საქ. სსრ კონსტიტუციის მე-  
14 მე-19 მუხლების ცლილებების და დამატებების შესახებ. საქ. სსრ  
უმაღლესი საბჭოს უწყებები №1 1938 წლის ავგისტი გვ.2.



საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭოო კონსტიტუციის მე-  
14 მუხლის ე) პუნქტი მიღლო შემდეგი რედაქციით: გიგანტური  
აწესებს რაიონების, სახოფლო, სადაძო და საქალაქო  
საბჭოების საზღვრებს და პეტიონის ახალი სარაიონო, სახოფლო,  
სადაძო და საქალაქო საბჭოებს". მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით  
შექმნა სიღნაღის რაიონისაგან წითელწყაროს რაიონი შემდეგი  
სახოფლო საბჭოების შემაღვენლობით: წითელწყაროს, ქვემო-  
ქვედის, ზემო-ქვედის წითელ-საბათლოს, მირზაანის, არბოშივის,  
ზემო-მაჩხაანის და ძველი ანაგისა ცენტრით სოფ.  
წითელწყაროში და სიღნაღის რაიონი შემდეგი სახოფლო  
საბჭოების შემაღვენლობით: სიღნაღის, ანაგის, ვაქირის,  
საქობოს, ბოდისხევის, ქვემო-მაჩხაანის, კუვგაანის, ტიბაანის,  
ნუკრიანის, მაღაროს, ბოდის და ულიანოვკისა ცენტრით  
ქალაქ სიღნაღში.

მის შესაბამისად კონსტიტუციის მე-19 მუხლი  
მიღებულ იქნას შემდეგნაირად: „19. საქართველოს სს  
რესპუბლიკა შედგება ავსახუთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-  
ისეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, აღმიგნის,  
ამბროლაურის, ასპინძის, აღმულალის, ახალქალაქის,  
ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩის, ბოგდინიველის, ბორჯომის,  
ბორჯომის, გეგეტკრის, გორის, გურჯაანის, ღუმეთის,  
განის, ზემო-სავანეთის, ზესტაფინის, ზუგდიდის, თბილისის,  
თელავის თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის,  
ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონივიძის, საგარეჯოს,  
სამტრედიას, სოლიალის, ტყმულის, ქვემო-სვანეთის, ქვთაისის,  
ყაზბეგის, ყარაიას, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის,  
ჩხორლიწყეს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის,  
წითელწყაროს, წულუკიძის, ჭავთურის, ხაშურის, ხობის  
რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის და ფოთისაგან,  
რომლებიც რაიონების შემაღვენლობაში არ შედიან.

აზრია იჯავანის სს რესპუბლიკის 1937 წლის 14 მარ-  
ტის კონსტიტუციაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით  
მე-19 მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: აზერბაიჯანის



სსრ გამგებლობას მისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანიზაცია  
ბის და სახელმწიფო მართვის ორგანიზების სახით კუთხით მიმდინარე  
ბარება დ) პუნქტით აშენდათ იჯანის სს რესპუბლიკის რაიონ-  
ული დაყოფისა და რაიონების საზღვრების დაღვნა, ხოლო  
სომხეთის სს რესპუბლიკის 1937 წლის 23 მარტის კონ-  
სტიტუციის მე-18 მუხლის აღნიშნულია ბ) პუნქტით, სომხ-  
ეთის სს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული  
დაყოფა.<sup>1</sup>

1943 წლის 12 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა ყარაბახის ავტონომიური ოლქი. ოლქის სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 22-ე მუხლით ოსეტის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიოდა. ბრძანებულების 1-ლი პუნქტით გაუქმდებულია ყარაბახის ავტონომიური ოლქი. მე-2 პუნქტით, ყარაბახის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ-ს შემაღლებლიბაში შეიდა კოლეგია ყარაბახის ავტონომიური ოლქის უწყვლანსკის რაიონისა და მიქობანის რაიონის ნაწილი და შეიქმნა ახალი, ქლუხორის რაიონი ცენტრი—ქ. მიქობან-შაპარი.

ქმიქოიან-შაპარს გადაერქეა სახელი და ეწოდა  
ქ-ქლუხორი. რესევოის რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს  
შორის ქლუხორის რაიონში დაღინდა შემდეგი საზღვრები:  
დასავლეთიდან—არსებული ყოფ. მიქოიანის საზღვრის  
გასწურივ, შემდეგ ქ-ქლუხორის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან,  
შემდგომ მდინარე მარას გასწურივ, სოფ. ქვემო მარას  
გამოკლებით, ყოფ. უნიკულანის რაიონის საზღვარზე გასვლით,  
სოფ. ზემო მარას სამხრეთით და შემდეგ სამხრეთით მდებარე  
ყოფ. უნიკულანის რაიონის აღმოსავლეთ საზღვარზე, ყოფ.

1. Конституция Азербайджанской ССР, 1937г, Издательство «Власть Советов» при Президиуме ВЦИК, Москва, 1937г.  
Конституция Армянской ССР, 1937 г.



მიქოიანის რაიონის დანარჩენი ტერიტორიის ნაწილი და დასახლებული პუნქტები შევიდა სტაციონერის მხარის უწყებელობა ჯეგუტინსკის რაიონის შემადგენლობაში.<sup>1</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 8 იანვარს გამოხცა ბრძანებულება<sup>2</sup> ქლუხორის რაიონის საქართველოს სსრ შემადგენლობაში შესვლისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1943 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულების „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თებერდის რაიონის ორგეომიტების შექმნის შესახებ“ ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 იქტომბრის ბრძანებულების „ფრანგის ავტონომიური ოლქის დაცვიდაციასა და მისი ტერიტორიის აღმინისტრუაციული მოწყობის შესახებ“ საფუძველზე, რომლის თანახმად ყოფილ ყარაბაის ოლქის უჩქულანის რაიონისა და მიქოიანის რაიონის ნაწილისაგან, შეიქმნა ახალი ქლუხორის რაიონი, რომელიც გადაეცა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, — შექანილ იქნა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში ქლუხორის რაიონი, ცენტრი — ქ. ქლუხორი (ყოფილი ქ. ქოქოიან-შაპარი).

დადგინდა ქლუხორის რაიონში შემდეგი საზღვარი რსესრ-სა და საქართველოს სსრ შორის: დასაცლეთიდან — ყოფილი მიქოიანის რაიონის არხებული საზღვრის გასწვრივ, შემდეგ აღმოსავლეთიდან — ქ. ქლუხორის ჩრდილოეთი, შემდეგ მდინარე მარას გასწვრივ სოფ. ქაემი მარას გამოკლებით და გადის ყოფილი უჩქულანის რაიონის საზღვრამდე, სოფელ ზემო მარას სამხრეთით და შემდეგ სამხრეთით არხებულ ყოფილ უჩქულანის რაიონის აღმოსავ-

1. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, № 10, октябрь, 1943 г.

2. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები № 1. 1944 წლის იანვარი.

ლეითას საზღვარზე, ამასთან დაკავშირებით საქართველოს  
სხრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თემების კომიტეტის  
ორგანომიტეტს, რომელიც შეიქმნა საქართველოს სასამართლო  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 10 დეკემბრის  
ბრძანებულებით, ეწოდა საქართველოს სხრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ქლუხორის რაიონის ორგანომიტეტი.<sup>1</sup>

1944 წლის 7 მარტს (№116/102) სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ,<sup>2</sup> რომელიც სხრ 1936 წლის კონსტიტუციის 22-ე მუხლით შედიოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში საჩახნო-ინგუშეთის ასს რესპუბლიკად. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ შეკვანილ იქნას საქართველოს სხრ-ს შემაღლებლობაში ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს რაიონები: იოუშ-ქალეს რაიონი არსებულ საზღვრებში, შარის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩიცის სამხრეთი ნაწილი, გალამქინისა და პრიგორიოვნის რაიონები, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით რსფსრ-სა და საქართველოს სსრ შორის არსებულ საზღვრებში შეტანილ იქნა შემდგენ სახის ცელილებები: საზღვრის ზაზი დაღვინძდა არსებული საზღვრიდან გიმორაი-ხონის მთის დასავლეთით და ნიშნული 4776-ის აღმოსავლეთით მდინარე გიმელ-დონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოუ. ქვედა სანიბას დასავლეთით, შემდგენ ჩრდილო-აღმოსავლეთით ნიშნულ 2642,2-მდე; შემდგენ აღმოსავლეთისაკენ — ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს პრიგორიოვნის რაიონის საზღვარზე მდინარე თერგამდე, ხოლო შემდევ მთა მატ-ლამის ქედის გასწვრივ 3002,2 მ.

1. საქ. სხრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები №1. 1944 წლის იანვარი.

2. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, № 3, март 1944 г.



და 2223,2 მ. სიმაღლეზე; მოების – ჯარ-ლამისა და ნული ცორეთ-ლამის ქვედაზე, სოფ. კაუბიჩის სამხრეთით, 2072:61 მ. მ., 2275,5; მ. 2327 მ. სიმაღლეზე, ჩრდილოეთით სოფელ ნიკაროს, ხოლო უფრო აღმოსავლეთით – ყოფილი იოუმ-კალეს რაიონის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვარზე შაროს რაიონის საზღვრის პირაპირამდე 2059,3 მ. სიმაღლესთან, შემდგომ აღმოსავლეთისაკენ შაროს რაიონის ჩრდილოეთ საზღვარზე, ძირიარე შარო-არღუნამდე, შემდევ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე შარო-არღუნის გასწვრივ, ძირიარე ხარკადე-ახტის (ხულანდოის) შესართავამდე, აქტან სამხრეთისაკენ ხარკადე-ახტისა და ხარჭაბ-ახტის გასწვრივ და 4090,00 მ. სიმაღლეზე გადის საქართველოს სსრ არსებულ სახელმწიფო საზღვარზე, ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს იოუმ-კალეს რაიონის რაიონულ ცენტრს, დაბა იოუმ-კალეს გადაერქვა სახელი და დაერქვა დაბა ახალქევი. შესაბამისად საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიტებმა 1944 წლის 21 მარტს კამოსცა ბძანებულება საქართველოს სსრ შემადგენლობაში ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორიის ნაწილის, ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ-ს გაზლის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის გადაცემის და საქართველოს სსრ ახალქევის რაიონის შექმნის შესახებ,<sup>1</sup> 1-ლი პუნქტით: სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიტების 1944 წლის 7 მარტის ბრძანებულების – „ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ლიკვიდაციის და მისი ტერიტორიის აღმინისტრაციული მოწყობის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეეიღა: იოუმ-კალეს რაიონი არსებული საზღვრებით; შაროს რაიონის დასავლეთი ნაწილი; ყოფილი ჩეჩენეთ-ინგუშეთის ასსრ-ს გალანჩოების, გალაშკინის და პრიგორიოდნის რაიონების სამხრეთი ნაწილი და ჩრდილო-

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიტების უწყებები №3, 1944 წ. მარტი



თსეთის ასსრ-ს გიზლის რაიონის სამხრეთ-აღმოსავალეთი ნაწილი, შეიქმნა საქართველოს სსრ ახალხევის რაიონი, ცენტრი - სოფ. ახალხევი (ყოფილი იოუმ-კალე). მე-2 პუნქტის შესაბამისად ახალხევის რაიონის შემადგენლობაში შევიდა ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს იოუმ-კალეს, გალანჩირებისა და შაროს რაიონების ტერიტორიები, აგრეთვე ჩეჩენილოეთ-ისეთის გიზლის რაიონის სამხრეთ-აღმოსავალეთი ნაწილი, რომელიც გადაეცა საქართველოს სსრ-ს და შევიდა საქართველოს სსრ ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში. მე-3 პუნქტის საუკეთესო ცენტრებით იქნა შეტანილი რსესრ-სა და საქართველოს სსრ-ს შერის არსებულ სახელმწიფო საზღვრებში (საზღვრებს აღარ გავიმეორებთ, ვინაიდან განსაზღვრულა 1944 წლის 7 მარტის სსრ კავშირის უმაღლესი სტანდარტულით).

1944 წლის 8 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყაბარდო-ბალყარუიის ასს რესპუბლიკა გარდაქმნა ეტანილის ასს რესპუბლიკად და საქართველოს სსრ ზემო-სცანვის შემაღლენლობაში შევიდა ყაბარდის ასს რ ალბეზისა და ნავორნის რაიონების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამათან დაკავშირდეთ რუსეთის ხელ რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის საზღვარი შემდეგნაირად შეიცვალა: ბურუნ-თაშის უღელტეხილიდან ალბეზის ჩრდილოეთ ფერდობზე, აღმოსავლეთით მდინარე მალკის გასწვრივ საზღვრის ზამხმა გაიარა 2877,0 მ. სიმაღლეზე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ისლამ-ჩაიზე 3242.00 მ. სიმაღლეზე კირტიკ-უშის უღელტეხილზე, მდინარე ყორიექის (რ. კარტვი) სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაბ ზემო ბაქსანის დასავლეთით და სამხრეთით - მდინარე ალიან-სუს გაფრილიბით მესტიის უღელტეხილის მდე. აღნიშვნული

1. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, № 4, апрель 1944 г.



ტერატორიუმის რსუსერდან საქართველოს სსრ-ზე გადმოცემით  
შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს სსრ კულტურული  
კონსტიტუციაში.<sup>1</sup> ცვლილებები გამოიიწვია აგრეთვე სსრ კულტურული  
კავშირის შეორე მოწვევის უძღვესი საბჭოს I, III, IV, V  
სესიების მიერ მიღებულმა შესწორებებმა და დამატებებმა.  
საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში განხდა  
დამსტუპითი მუხლები. მე-16 პ მუხლით საქართველოს  
სსრ-ს უფლება ეძღვოდა უშალო ურთიერთობა და მყარებინა  
უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაედო შეთანხმები და  
გაეცვალა დაპლომატიურ-საკრისული წარმომადგენლები,  
ხოლო მე-16 პ მუხლის შესაბამისად უფლება პქნდა  
საქართველოს სსრ ჰეროლდა თავისი რესპუბლიკური  
საკარისო ფირმატებანი. შესწორება შევიდა მე-19 მუხლშიც;  
საქართველოს სსრ რესპუბლიკა შედგებოდა: აფხაზეთის ასსრ,  
აჭარის ასსრ, სამხრეთ-ისეთის აუტონომიური ოლქისაგან;  
აბაშის, აღმგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის,  
ახალციხის, ახმეტის, ბოვდანოვის, ბოლნისის, ბორჯომის,  
გარდაბნის გეგეტერის, გორის, გურჯაანის. ღმანისის,  
ღუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფინის, ზუგდიდის,  
თბილისის, თეთრი-წყარის, თელავის, თიანეთის, გასპის,  
კაჭრეთის, ლაგოდეხის, ლამჩნევთის, მაკავესკის, მარნეულის,  
მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიგიძის, საგარეოს,  
სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის,  
ქვემო-სვანეთის, ქლუხორის, ქუთაისის, ყაზბეგის, გვარდის,  
ჩიხატაურის, ჩხარის, ჩხორიოწყეს, ცაგერის. ცხაკარას,  
წალენჯიხის, წალკის, წითელწყარის, წულუქიძის,  
წყალტუბოს, ჭაოთურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და

I. საქ. სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში საქ. სსრ უძღვესი  
საბჭოს მეტ 1947 წლის 24 ივნისს მიღებული იქნა ცვლილები და  
დამატებები. სახელმწიფო მოღილიტურატურის სექტორი 1947  
წ. გვ. 8.9.

ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემაღებულობაში არ შედოოფა მეტა 20%-ი  
მუხლით აფხაზეთის ასერ რაიონებს დაეძატა გატარაფულისაკენა  
რაიონი, ქალაქებს – ტყვარჩელი.

ფოველმა ზემოაღნიშვნულმა ცვლილებამ ასახვა პპოვა  
საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში სარედაქციო  
კომისიის მოხსენების შესაბამისად საქართველოს სსრ  
უმაღლესი საბჭოს მიერ 1947 წლის 24 ივნისს მიღებული  
ცვლილებებით და დამატებებით (იხ. სქემა-რუკა №4  
დანართში).

1945 წლის 11-17 მაისს ქ. თბილისში გაიმართა  
გერდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამსართველოს (გეზს)  
რწმუნებულთა და საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და  
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების  
წარმომადგენელთა თათბირი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების  
რესპუბლიკური საზღვრების გრაფიკული მოხაზულობის  
დაზუსტების თაობაზე, რომელმაც გააფიქტა ოქმი.<sup>1</sup> თქმი  
ნათელად მია: იმის გამო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების  
სახალხო კომისართა საბჭოებთან (ხახუმისაბჭოებთან)  
გერდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამსართველოს (გეზს)  
წარმომადგენალთა სამსართველოებში მორიგეობა გადაყვანილია  
საზღვრებისა და აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის  
მიხედვით, 1:100000 მასშტაბის რუკებზე, აგრეთვე იმის  
გამო, რომ ამ გადაყვნის შედეგად მთელ რიც პუნქტში  
რესპუბლიკური საზღვრების რუკებზე მოხაზულობებში  
გამოვლენილია შეუთანხმებლობა, რაც აფერხებს  
ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალი აღმინისტრაციული  
რეკების გამოშვებას, ხსნებულმა თათბირმა განიხილა საზღვ-

---

1.თქმი ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების გრაფიკული  
მოხაზულობის დაზუსტების შესახებ გამოწყვეტილები არ ყოფილა კონაფინ  
გამოწყვეტილას უკვემდებარებოდა საკანონმდებლო წესით დამტკიცების  
შემდეგ.



რების შესახებ რესპუბლიკების შესაბამის დაწესებულებებმა ყველა აზერბელი მასალა. მაგალითად, კოლმეურნეობებშე რესპუბლიკური მუდმივ სარგებლობაში მიწების დამაგრების აქტები, საძოვრებად მიწების გამოყოფის მასალები, ბოლო წლების ახალი ტრაქორნაფორული გადაღებების მასალები და სხვ. და მათ საფუძველზე მოახდინა 1:000 მასშტაბის რუკის ფურცლებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის რესპუბლიკური საზღვრების გრაფიკული მოხაზულობის დაზუსტება. წარმოებულ დაზუსტებათა შედეგად:

- ა) საქართველოს სს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას შორის რესპუბლიკური საზღვარი, დახაზული წითელი საღებავით 1:100000 მასშტაბის რუკის ფურცლებზე, რომლის ნომერიატურაა K-38-103, 91, 92, 104, 105, 106, 94, 93 და 81 შეიძლება შეთანხმებულად ჩაითვალიოს;
- ბ) საქართველოს სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკას შორის რესპუბლიკური საზღვარი, დახაზული წითელი საღებავით 1:100000 მასშტაბის რუკის ფურცლებზე K-38-99, 100, 101, 102 და 103 შეიძლება შეთანხმებულად ჩაითვალიოს;

- გ) პუნქტით შეთანხმდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკას შორის საზღვარი. გეოდაზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამსართველოს (გქმ) რწმუნებულთა და ამიერკავკასიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარმომადგენერულთა თათბირს 1:100000 მასშტაბის რუკის ზემოთ აღნიშნული ფურცლები, ამ რუკებზე დატანილი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დაზუსტებული და შეთანხმებული საზღვრებით, მიაჩნია ძირითად მასალად სხვადასხვა რუკაზე საზღვრების ასახვისათვის. ოქმი ასევე აღნიშნულია, რომ იმის გათვალისწინებით, კინაიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის რესპუბლიკური საზღვრების ადრინდელი მოხაზულობა შეასაბამისი



რესპუბლიკურის ცენტრალურიმა აღმასრულებელმა კომიტეტმა  
განიხილეს და დაამტკიცეს 1938 წელს (საქართველოს კულტურული  
ცაკმა 1938 წლის 23 მარტს, ოქმი №63; სომხეთის სსრ  
ცაკმა 1938 წლის 8 აპრილს, ოქმი №7 და აზერბაიჯანის  
სსრ ცაკმა 1938 წლის 5 მაისს, ოქმი №59), თათბირი  
სოხოვს საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის  
სსრ უმაღლესი საბჭოების პრზიდენტებს განიხილონ ამ  
ოქმზე თანდართული რესპუბლიკური საზღვრების  
დაზუსტებული მოხაზულობა 1:100 000 მასშტაბის რუკის  
ფურცლებზე და დაამტკიცონ ისინი. ოქმს ხელს აწერენ  
(გვიმ რწმუნებული-რიაზანცვევი, პოდგუბინი, საქართველოს  
წარმომადგენელი – მნელაძე, სომხეთისა – კარაპეტიანი,  
ადამიანი, აზერბაიჯანისა – სავენჯო).

აღნი მნელ ოქმში თითქოსდა ყველაფერია  
სამოყალიბებული, მაგრამ თხოვნა საქართველოს სს, სომხეთის  
სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების უმაღლესი  
საბჭოებისადმი იმის შესახებ, რომ განიხილონ ოქმზე  
თანდართული რესპუბლიკური საზღვრების დაზუსტებული  
მოხაზულობა რუკაზე და დაამტკიცონ ისინი, სსრ კავშირის  
1936 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ე) პუნქტს, რომლის ძალითაც სსრ კავშირის უმაღლეს გამგებლობას  
ექვემდებარება მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრების  
დამტკიცება. აშკარად ეწინააღმდეგება. ასევე აშკარად  
ეწინააღმდეგება თათბირის მონაწილეთა მოთხოვნა  
საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციასაც, რომელმაც  
1938 წლის 9 ივნისის კანონით შეცვალა კონსტიტუციის  
მე-14 მუხლის ე) პუნქტი და დაამტკიცა შემდეგი რედაქციით:  
„აწესებს რაიონების, სასოფლო, სადაბო და საქალაქო  
საბჭოების საზღვრებს და პქმნის ახალ სარაიონო, სასოფლო,  
სადაბო და საქალაქო საბჭოებს“.  
(1938 წელს კონსტიტუციაში  
ცვლილება გამოიწვია, სწორედ საქართველოს სსრ  
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1938 წლის 23  
მარტის №63 ოქმა, რომელმაც კონსტიტუციის



საწინააღმდეგო დადგენილება მიღლ და რესპუბლიკებს შორის დამტკიცა აღმინისტრაციული სახლერები, რითაც დამტკიცებული იქნა სირკ კონსტიტუცია). 1945 წლის თათბირის ოქტო ანალიზური წინააღმდეგობაში მოდის 1937 წლის 14 მარტის აზერბაიჯანის კონსტიტუციის მე-19 მუხლის (დ) პუნქტთან, რომელშიც ცალსახადა აღნიშნული, რომ: აზერბაიჯანის სსრ-ს უმაღლეს გამგებლობას ექვემდებარება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის რაიონული დაყოფისა და რაიონების სახლერების დადგენა<sup>1</sup> და სომხეთის 1937 წლის 23 მარტს მიღებულ კონსტიტუციის მე-18 მუხლის ბ) პუნქტთან, რომელშიც დაფიქსირებულია სომხეთის სს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა<sup>2</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით თათბირის ოქტო უნდა ეთხოვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმისათვის საკითხის განხილვა და სსრ კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო თრგანისაოვის დასამტკიცებლად წარდგენა.

**ღასპვები:** თუ აღნიშნული თათბირის ოქტო მიხედვით რეპებზე მოხდა რაიმე ცვალიბები, დამტკიცებულიც რომ იყოს რესპუბლიკათა უმაღლესი ხელისუფლების მიერ, უკანონოა, ვინაიდან სსრ კავშირის უმაღლესი თრგანის მიერ გამოცემულ საკანონმდებლო აქტში ანუ ბრძანებულებაში დანართის სახით უნდა იყოს ტერიტორიის აღწერა და შესაბამისად ახალი რეგის შედეგებისა და დამტკიცების საფუძველი უნდა ვახდეს უმაღლესი საკანონმდებლო თრგანის მიერ მოღვაწელი ბრძანებულება. ხოლო რეეაზე უნდა ეწეროს, რომ დამტკიცებულია ამა და ამ ბრძანებულების ძალით და უნდა ესვას შესაბამისი ბეჭედი. თვით ამ ფაქტის იურიდიული დასაბუთებაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლეზისა და

1. Конституция Азербайджанской ССР, 1937г. Издательство «Власть Советов» при Президиуме ВЦИК, Москва, 1937г.

2. «», Конституция Армянской ССР, 1937 г.



კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ინსტრუქციის  
1:100000 მასშტაბის მორიგე საცნობარო რუკის შესქმნების  
რომელიც დამტკიცებულია 1988 წლის 7 იანვარს, ხოლო  
ამ ინსტრუქციით გაუქმებულია 1951 და 1971 წლების  
ანალოგიური ინსტრუქციები. ხოლო ინსტრუქციის მე-3  
ჰუნეტის მე-3 კატეგორიული განმარტებულია, რომ მოკავშირე  
რესპუბლიკების საზღვრები მორიგე რუკაზე დაიტანება და  
მათი მოხაზულობა იცვლება მომიჯნავე მოკავშირე  
რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების  
ბრძანებულებებით თანაბეჭდ, შემდეგ ამტკიცებს სსრ კავშირის  
უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება. რის შესახებაც  
რუკის ფორმულარში (პასპორტში) ქვთდება შესაბამისი  
ჩანაწერი.<sup>1</sup> ასევე მაგალითისათვის შეიძლება დასახვლდეს  
სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის  
31 ოქტომბრის №596 ბრძანებულება რსეგმენტა და ესტონეთის  
სსრ მორის საზღვრის ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ.<sup>2</sup>  
ბრძანებულებით დამტკიცებულია საზღვრის აღწერილობის  
დანართი, ხოლო აღწერილობის სათაურში მითითებულია  
შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკათვის უმაღლესი საბჭოების  
პრეზიდიუმების მიერ დადგნილებებითა მიღების თარიღებიც.  
სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის დ ჰუნეტის  
მოქმედება კიდევ უფრო ნათლადაა წარმოჩენილი იმ კანონებში,  
რომლის მაღალაც დამტკიცებულია თვით სსრ კავშირის  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული  
ბრძანებულებები საზღვრის ნაწილობრივი ცვლილებების  
შესახებ. მაგალითად, 1956 წლის 14 ივნისის კანონში

---

1. Инструкция по дежурной справочной карте масштаба 1:100000, утвержденная Главным управлением геодезии и картографии при Совете Министров СССР, Москва, 1988г. пункт 3.3.

2. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, №25, октябрь 1957 г., статья 596, стр.709.

საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე<sup>1</sup>  
აღნიშნულია:

„ფაზახეთის სსრ-სა და უზბეკეთის სსრ მორის სახლების  
ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი  
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი  
საბჭო აღგენს: დამტკიცდეს სსრქ-ს უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 1956 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება  
ფაზახეთის სსრ-სა და უზბეკეთის სსრ-ს მორის სახლების  
ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ.<sup>1</sup> ხელს აწერს სსრკ  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ-  
კორომილოვი და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდიგარი ნ. პეტრივი, მოსკოვი, კრემლი.

ასეთი ფაქტის მოყვანა მრავლად შეიძლება.

1951 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს სსრ  
უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემულ იქნა ბრძანებულება  
საქართველოს სსრ შემადგენლობაში ქუთაისისა და თბილისის  
ოლქების შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანებულება აისახა  
1951 წლის 5 ნოემბრის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულებაში, რომელიც დამტკიცდა 1952  
წლის 8 მარტს მიღებული სსრ კავშირის შესაბამისი კანონით,  
რომელის 1-ლი მუხლით დამტკიცდა სსრკ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 5 ნოემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ  
შემადგენლობაში ქუთაისისა და თბილისის ოლქების შექმნის  
შესახებ. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები იქნა შეტანილი  
სსრკ 1936 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლში —  
„საქართველოს სსრ რესპუბლიკა შედგება ქუთაისისა და  
თბილისის ოლქებისაგან, აფხაზეთისა და აჭარის საბჭოთა  
სოციალისტური რესპუბლიკისაგან და სამხრეთ-ოსეთის  
ავტონომიური ოლქისაგან“.

1. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, № 15,  
июль 1956 г. статья 316-319, стр. 405.



საქართველოს სს რესპუბლიკაშ, სსრ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შედეგე, 1952 წლის 19 მარტის კინონით ცვლილება შეიტანა საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში და 104-ა მუხლის მე-2 პუნქტით საქართველოს სსრ კონსტიტუციის „დ“, „ე“ და მე-19 მუხლა ჩამოყალიბდა შედეგნაირად: „საქართველოს სსრ თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით – დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს აზალი ღლების, ავრეთვე აზალი აეტონომიური რესპუბლიკების და აეტონომიური ღლების შექმნას საქართველოს შემაღლებლობაში; „ე) აწესებს ღლების ს შედგრებს და რაიონულ დაყოფას, მტკიცებს აუხაზუთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტების დადგენილებებს და შრომულობა დეპუტატების საბჭოს აღმ. სრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს აზალი სასოფლო, სადაც და საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ“;....

„შეხ ღ 19. საქართველოს სს რესპუბლიკა შედგება:

თბილისის ოლქისაგან, ცენტრით ქალაქ თბილისში, ქალაქებისა თბილისის (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა), გორისა და რუსთავისაგან შემდეგი რაიონებისაგან: აღიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბორჯომის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თელავის, თანანეთის, კასპის, კაჭრეთის, ლაგოდების, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ქარელის, გაზაფინის, კვარლის, წალენის, წითელწყაროს და ხაშურისა;

ქუთაისის ოლქისაგან, ცენტრით ქალაქ ქუთაისში, ქალაქების ქუთაისის, ფოთის და ჭავათურისა და შემდეგი რაიონებისაგან: აბაშის, ამბროლაურის, გვევტერის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის,

ლანჩხუთის, მაიაკოვესების, მახარაძის, ონის, ორუელონიქოძის, სამტრედიანის, საჩხერიას, ტყიბულის, ქვემო სვანეთის<sup>1</sup>, ქლუხორის, ქუთაისის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუბის, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს ჭიათურის და ხობისა;

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან; აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან; სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან<sup>2</sup>.

სსრკ-სა და საქართველოს სსრ კონსტიტუციურმა შემოთ აღნიშნულ ცელილებებს დიდხანს არ უმოქმედია და 2 წელიწადში, 1953 წელშივე დაიწყო უკუპრიცესი, რაც გამოიხატა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ქუთაისისა და ობილისის ოლქების დაშლით. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 16 აპრილს გამოისცა ბრძანებულება, მას მოჰყა 1953 წლის 19 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუ-14 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„წესებს რაიონებისა და სასოფელო, სადაც, საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ რაიონელ, სასოფელო, სადაც და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს ახალი სასოფელო, სადაც, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონელი საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ.

1. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები, 1952 წ. №2, გვ.5

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური მიმღებთა მიერთებული სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, აღმიგნის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გვალეთის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, განის, ზესტაფიონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, ქაბაის, კაჭეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მააკოვეკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორგონიკიძის, საგარეულის, სამტრედის, საჩხერის, სიღნაძის, ტყიბულის, ქარელის, ქლუხორის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარელის, ჩოხატაურის, ჩხოროწყეს, ცავერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბის, ჭავათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსეთისის, ონის, ქუთაისის, ჭიათურისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ახალი ოონის, გარის, გალის, გუდაუთის, გულრიფეშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“;

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის და ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“!

1. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები. 1953 წლის №6. გვ. 9



1954 წლის 23 აპრილს მოღვაწეობი იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, შესაბამისად 1954 წლის 24 აპრილს სსრ კავშირის კანონის 23 მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 23 აპრილის ბრძანებულება საქართველოს სსრ შემსაღენლობაში ქუთაისისა და ობილისის ოლქების გაუქმების შესახებ და სსრკ კონსტიტუციაში აისახა ყველა ცვლილება.<sup>1</sup>

1955 წლის 14 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოისცა ბრძანებულება, საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის რსფსრ-ს შემაღენლობაში გადაცემის შესახებ. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები ქლუხორის რაიონის საქართველოს შემაღენლობიდან რსფსრ-ს სტაციონალის მხარის შემსაღენლობაში გადასცეის შესახებ და ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის არსებულ საზღვარში. 1956 წლის 28 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ შესაბამისი კანონით ცვლილება შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლში.<sup>2</sup>

1957 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება “დუმეთის და

---

1. История Советской Конституции в документах 1917-56 г.г. Гос.издательство юридической литературы Москва 1957 г.

Ведомости Президиума Верховного Совета СССР 1954 г., №10 статья 880.

2. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, № 5, март 1955 г., статья 117-118, стр.133.

Ведомости Президиума Верховного Совета Грузинской ССР, №2, январь 1956 г., стр. 33.



ფაზბეგის რაიონების ტერიტორიის ნაწილის საქართველოს  
სსრ შემადგენლობიდან რსფსრ შემადგენლობაში გადატანილი  
შესახებ”, რომელშიც აღნიშნულია: საჩარჩო-ინგუშეთის ასერ  
აღდგენასთან დაკავშირებით, გადაუკეს რსფსრ შემადგენლობაში  
დუშეთისა და ფაზბეგის რაიონების ჩრდილოეთი ნაწილი /  
საზღვრებში-ყოფილ ოუზ-კალეს რაიონი და გალანჩოვის,  
გალაშეის, შაროს პრივოროვის და გიმელდონის ყოფილი  
რაიონების ნაწილი;/ დადგენილება შეტანილი იქნას  
დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმში.<sup>1</sup>

1957 წლის 11 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმმა, გამოსცა ბრძანებულება დუშეთისა და ფაზბეგის  
რაიონების ტერიტორიების ნაწილის საქართველოს სსრ-დან  
რსფსრ-ს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ.  
ბრძანებულები აღნიშნულია დამტკიცების საქართველოს  
სსრ და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების  
დადგენილება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასერ-ს აღდგენასთან  
დაკავშირებით, დუშეთისა და ფაზბეგის რაიონების  
ტერიტორიების ნაწილების საქართველოს სსრ  
შემადგენლობიდან რსფსრ-ს შემადგენლობაში გადაცემის  
შესახებ და რსფსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის  
1944 წლის 7 მარტის არსებული საზღვრის აღდგენის  
შესახებ. ბრძანებულება დამტკიცებულ იქნა 1957 წლის 11  
თებერვლის კანონის მე-2 მუხლით.<sup>2</sup>

ცნობისათვის, 1957 წლის 29 მარტს რსფსრ უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება ჩეჩნეთ-  
ინგუშეთის ასერ-სა და ჩრდ. ოსეთის ასერ-ს შემადგენლობაში

1. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები  
1957 წლის ანგარი, №27 გვ. 133.

2. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, 1957 г.,  
№ 4, ст. 78, стр. 134.



საქართველოს სსრ-დან გადაცემული ტერიტორიების შეკვანის შესახებ. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი საბჭოში 1957 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მიზანით „დუშეთისა და გაზბევის რაიონის ტერიტორიების ნაწილის საქსენ-დან რსფესრ-ს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ“, შესაბამისად აღნიშნული ტერიტორია შეკვანილ იქნას ყოვ. თუმ-კალეს რაიონის, ყოფ. გალამკრეიის, გალაშენის და პრიორიტეტის რაიონის საზღვრებში ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ის შემადგენლობაში, ხოლო ყოვილ გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი — ჩრდ. ოსეთის ასსრ-ს შემადგენლობაში.

1957 წლის 9 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების „კაბარდის ასსრ-ის გარდაქმნის შესახებ“, საფუძველზე შეიქმნა ყაბარდობალყარუთის ასს რესპუბლიკა, რომელსაც დაუბრუნდა 1944 წლის 8 აპრილს რუსეთის მიერ საქართველოს სსრ (ზემოსვანეთზე) გადაცემული ტერიტორია,<sup>1</sup> იგი და მტკბაცებულ იქნა სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონის 1-ლი მუხლით.

1957 წლის 29 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ კანონი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ, რომლითაც საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 20 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების ცვლილებების შესახებ“ „დ“ პუნქტიდან მოღებულ იქნას სიტყვები „ანალი თლექის, ავრეთვე“ და „ე“ პუნქტს

1. Ведомости Президиума Верховного Совета СССР, 1957 г. № 4, ст.78, стр. 134.



დაემატოს სიტყვები „ოლქების“, „საოლქო“ და ეს კუნძულების  
ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას საქართველოს სსრ შესადგენლობაში“.

„ე) აწესებს ოლქების, რაიონების, სახლელო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ საოლქო, რაიონულ, სახლელო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდენტების დადგენილებებს და სამხრეთ-ისეთის ავტონომიური ოლქის მმრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს ახალი სახლელო, სადაბო, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეჯდის შესახებ“.<sup>1</sup>

1973 წლის 29 დეკემბერს ანკარაში ხელი მოეწერა თქმის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სასაზღვრო განაკაფი ზოლის შენარჩუნებისა და სასაზღვრო ნიშნების აღდგენის, მოვლის, შეკეთებისა და კონტროლის შესახებ. 1977 წლის 28 თებერვალს ქ.ანკარაში დამტკიცდა სსრ კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საზღვრების ოქმი-აღწერილობა 1969-1974 წლების რედემარკაციის შედეგების მიხედვით.<sup>2</sup>

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრ კავშირის მეცნერე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგვარეშე მეშვიდე სესიაზე

I. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდენტის უწყების, 1957 წელი, №4 გვ.8.

2. Дипломатический словарь, Том III, Издательство «Наука», Москва, 1986 г., стр.313.

մօլցիւլ օյնա ևսր գավթունու զրոնելութեցուա, <sup>1</sup> 1981 წյանու 24 օյնուսա և 1988 წյանու 1 դեկտեմբերս գանոնեցուա մահման մըրտանուն օյնա ցըլուլութեցու և գամաթղթեցու զրոնելութեցուն 11-ը մշելուու մեռլուու և մեռլուու և սակելմիւուու և սակյունույած մշելուուն: մոխա, մուս իւալու, წյալու միջա, անցա և սակելմիւուու և ցըտենու իւարմունու մուստաճու և սամշալցանու մրցին ցըլուլունամի, մշելնելունամի և սոյցլու մյուրնելունամի, ըրանուսուրունա և գավթուրցամշելունուն և սամշալցանու, ձանցուն, սակելմիւուու մոյը ուրցանութեցուլու և սաւաշուր, զրմշանալուրու և ևսր և սահարմունու յոնցա, մուստաճու և սայիւլայր և սամնառ ուռնուն, ացրւուց և սակելմիւուու և ամուսնաւա ցանեռուցուլցանաւուն և սպուր, և ևսր յոնցա. 29-ը մշելու մշեսամամաւ զամուսանցրու և ևսր գավթունու և սայաշուր պոլութիւն: և ևսր և սակելմիւուուուունուն և ևսր գավթունու ուրտույնունամ դամբարնեցուլու և սետո Արտուրուքունու և դացուն և սայսպելունչէ, ըրցուրուն առու: և սպայրենուլու տանասիւրունա: մալուն զամույնցանա ան մալուն դամբարնեչու յարու տիմի; սանցրունուն ուրծացունա: և սկըլմիւուունուն ըրութիւրուուց մուլանունա: դացուն մշագունանու յագանցուցարի; և սամնառ և սայիւլեմիւ հայրեցունա: ագմանուն սայլունեաւա և մուստաճու տացունույնունա և սամունուսպիւն: ხալուս տանասիւրույնունունա և տացունուն ծյուն գամբուլունուն սայլունա: սակելմիւուուու տանամշրումունա: և այժուամունուն և սամանունուն և սապուցուլունա ալուսուրնեցու Արտուրուքունուն և նորմենունա, և ևսր գավթունուն մոյը գագաթեցուլու և սայրտամունուն և նելշոյրույնունունան զամումնանու յալուցուլունա տա մշենունա: 72-ը մշելուու մոյաշամուր ըրեսպելունուն գամբուլունուն այն և ևսր գավթունուն տացունույնունա գամբուլունուն 73-ը մշելուու և ևսր գավթունուն գամբուլունուն, մուս և սակելմիւուու նելշոյրույնունունան և մմարտ-

1. և ևսր գանելութեցու 1977 წյանու գամեմբուլունա „սամքուստ և պատշաճութեցուն” տանունու 1977 წյանու.



ველობის უმაღლესი ორგანოს სახით, განეკუთვნებოდა სსრ კავშირის საპრეზიდენტო საზღვრების დადგენა და შეუფასებრობა. რესპუბლიკას შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება.

76-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სიციალისტური სახელმწიფო. 78-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მიხი თანხმობის გარეშე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკას შეიძლება შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკის ურთიერთშეანბრძანი, რომელსაც აამტკიცებს სსრ კავშირი. ამ მუხლით მოკავშირე რესპუბლიკას უფლება მოეცა ტერიტორიის ცვლილებებთან დაკავშირდით მოლაპარაკება აწარმოონ მეზობელ სახელმწიფო ებთან. მე-80 მუხლით მოკავშირე რესპუბლიკას უცხოთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებისა და ხელშეკრულებების დადგების, დიპლომატიური ურთიერთობის, ავტოთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის უფლება პქონდა. 81-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკას სუვერენულ უფლებას იცავდა სსრ კავშირი.

84-ე მუხლით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მისი თანხმობის გარეშე. 85-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ-ში შედიოდა აუხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკები. 86-ე მუხლის განსაზღვრა, რომ ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბლიკის ან მხარის შემაღვენლობაში შედის. 87-ე მუხლით-საქართველოს სს რესპუბლიკაშია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. 137-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.<sup>1</sup>

1. სსრ კავშირის 1977 წლის 7 ოქტომბრის კანსტიტუციაში 1981 წლის 24 ივნისისა და 1988 წლის 1 დეკემბრის კანონქვით შეტანილი ცვლილებები და დამატებები. გამოცემლისა „საბჭოთა საქართველოს“ თბილისი. 1989 წელი.



1978 წლის 15 აპრილს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭოო გამოსტენილი დეკლარაცია,<sup>1</sup> საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღებისა და გამოცხადების შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ ხალხის სურვილით მოქმედებს და მის სუვერენულ ნებას გამოხატავს, იღებს საქართველოს სსრ კონსტიტუციას. კონსტიტუციის მუხლებში ძირითადად ასახულია სსრ კავშირის კონსტიტუციიდან მოკავშირე რესპუბლიკისათვის მინიჭებული უფლებები. 70-ე მუხლით საქართველოს ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე, საქართველოს სს რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეცვალოს შესაბამისი რეპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის. 71-ე მუხლით საქართველოს სს რესპუბლიკაშია: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს სს რესპუბლიკაში არის: აბაშის, აღივნის, ამბროლაურის, ასპინძის, ასალქალაქის, ახალციხის ახმეტის, ბოგდანოვების, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გვევეჯორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, განის, ზესტაფინის, ზეგდიდის, თერთი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიკოვსკის, მარნუელის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიშვილის, ხაგარეჯოს, ხამტრედის, ხაჩხარის, ხილაძის, ხილაძის, ხულუკიძის, ხაშურის, ხობის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების

I. საქ. სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978წ.) თბილისი უნივერსიტეტის გამოცემლისა. თბილისი 1983 წ. გვ. 247.



ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყმატული, ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო და ჭიათურა.

კონსტიტუცია მიღებულია საქართველოს სსრ შეცხრე  
მოწვევის უძალლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე 1978  
წლის 15 აპრილის.

73-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკა  
განსაზღვრავს თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტს  
აღმნისტრატიულ-ტერიტორიალური წყობილების საკითხებს.  
ამ კონსტიტუციიდან საქართველოსთვის ყველაზე  
მნიშვნელოვანი იყო 75-ე მუხლი, რომლის ძალით  
საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად  
გამოცხადდა ქართული ენა, ამიტომაა, რომ საქართველოს  
მოსახლეობაში ამ კონსტიტუციამ აღვიდი დამკვიდრა,  
როგორც ენის კონსტიტუციამ. 76-ე მუხლის ძალით  
საქართველოს სსრ-ს უფლება ქვეთა ურთიერთობა  
დაუმტკრებინა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაედი მათთან  
ხელშეკრულებები, გაცემალი დიპლომატიური და საკონსულო  
წარმომადგენლები, აგრეთვე მონაწილეობა მიეღო  
საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.<sup>1</sup>

მოგვავს 1981 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა  
ენციკლოპედიის“ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების  
აღწერილობა სრულად, მართალია ის სამართლებრივი ძალის  
მქონე დოკუმენტი არ არის, მაგრამ ვინც ამ თემაზე კვლევით  
სამუშაოს ეწევა ხშირად მას კურდნობა.

„საქართველოს უფრავებ ამიურკუებასთა ცენტრალური  
და დასაცემოს ნაწილი. რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვარი  
მდ. ფსოუს სათავეებიდან (დას-იო) ტიბილორისის მთამდე  
(აღმ-ია) უპრატესად კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედის  
თხემს გასდევს; აღმოსავლეთი საზღვარი ეშვება კავკასიონის  
სამხრეთ კალთაზე ტიბილორისის მთის ახლოს, გასდევს მდ.

1. საქართველოს სსრ კონსტიტუცია 1978 წლის 15 აპრილის.  
გვ.249-293. გამოშუ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982 წ.





## გამოიწვევა”:

1978 წელს მოღებულ კონსტიტუციაში მრავალი სისტემური იქნა შეტანილი ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებითა და მის მოკავშირე რესპუბლიკურში ეროვნული მოძრაობების აღზევებით, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ბალტისპირეთის რესპუბლიკებსა და ამიერკავკასიაში, კურიოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში. როდესაც სსრ კავშირის ხელმძღვანელი მუშაკების მითითებით მოხდა ეროვნული მოძრაობების ჩახშობა და სამხედრო ძალის გამოყენება.

საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებულ პიქს მიაღწია 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც სამხედრო ძალა გამოიყენეს შშვიდობიანი მომიტინგების დასარბევად, რასაც მოჰყვა უდანაშაულოთა მსხვერპლი. საქართველოს ხელისუფლებაში ვეღარ შეძლო პროცესების მართვა და ერის თვითგამორკვევის ბრძოლამ მოვლენები დასწავლა. 1990 წლის 28 ოქტომბერს ოჩივნებში გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, სახელისუფლო მმართველობა და ხელმძღვანელი პრისტები დაიკავეს ძირითადად გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლებმა.<sup>1</sup>

1978 წლის კონსტიტუცია მრავალჯერ შეიცვალა. კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა, აგრეთვე 1984 წლის 7 იანვრის, 1986 წლის 5 ივნისის, 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 20 მარტისა და 18 აგვისტოს, ასევე 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბრის, 11, 28 დეკემბრისა და 1991 წლის 29 იანვრის 27, 28 თებერვლისა და 20 მარტის კანონებმა კადატრიალება მოახდინა საქართველოს

1. ქართველი საბჭოთა ქნიცემობრივი საქ. სსრ იბილისი 1981 წლით გვ. 7.

2. საქ. რესპ. უზენაესი ორგანოს გაშეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №70 1991 წლის 10 აპრილი.



სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსში.<sup>1</sup> 1991 წლის 20 მარტის მდგრადარეობით საქართველოს კონსტიტუციის ქადაგის მუხლით საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოდ. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია გახდა ერთიანი და განუყოფელი ნაწილი, მე-11 მუხლით მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წალი, წყალი, ტყე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა შევი ზღვის სანაპირო თავისი მიმდებარე კონტინენტალური შელფის ბუნებრივი რესურსით. საქართველოს რესპუბლიკას მისი სანაპიროს მიმდებარე შევი ზღვის კონცენტრუ ზონაში ჰქონდა საერთაშორისო, სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი. 28-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკამ საერთშორისო საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს კანონმდებლობით. კონსტიტუციის III კარის – „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო და აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ“ საუკეთელ ზე, საქართველოს რესპუბლიკის მდგრადარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში განისაზღვრა 68-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემკვიდრე სახელმწიფო. ივი ძალადობით იქნა შევყანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებული 1978 წლის 15 აპრილს, მასში შეტანილი ცვლილებებითა და დამტკიცით 1991 წლის მარტის მდგრადრეობით. თბილისი 1991 წელი მარტი გამოიცემდება „სამშობლა“ 1991 წ.



უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანიზაციის სახით უფლებები, რომელიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, 4, 11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა. სსრ კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველომ მოიხსნა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური აღგილობრივი ორგანიზაციის ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგჯერ საწყისების დაწესება, მე-4 პუნქტით გაუქმდა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო რეგულირების ერთანობის უზრუნველყოფა და მოკავშირე რესპუბლიკის ტონსტიტუციის შესაბამისი უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკა ინარჩუნებდა სსრ კავშირიდან თავისუფლად გასცლის უფლებას. 70-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლებოდა შეცვლალიკი მისი თანხმობის გარეშე. საქართველოს რესპუბლიკას უფლება პქროდა საზღვრების შეცვლის შესახებ მოღაპრავებები და შემამსმებები ეწარმოებინა მეზობელ მოკავშირე რესპუბლიკებთან, მაგრამ ამ ნაწილში საზღვრის დამტკიცების საკითხი საქართველოს ტონსტიტუციამ დატოვა სსრ კავშირის გამტკიცებულობაში. 71-ე მუხლამ განსაზღვრა საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიები, ქალაქები და რაიონები: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აბაშის, აღმოგის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალგორის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბაღდათის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდამნის, გორის, გურჯაანის, დუღისულის წყაროს, ღმენისის, დუშეთის, განის, ზესტაფიონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარნეულის, მარტვილის, შესტის, მცხეთის, ნინოწმინდის, ოზურგეთის, ონის, საგარევოს, სამტრედის, საჩხერის, სენაკის, სოღნალის, ქარელის, ყაზბეგის,



ყვარლის, ყორნისის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, მცხა-მთიანეთის  
ცხინვალის, წალენჯიხის, წალკის, ხარაგაულის, ხაშუაჟის მუნიციპალიტეტის  
ხობის, ხონის, ჯავის რაიონები და რესპუბლიკური  
დაქვემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი,  
რუსთავი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი, წყალტუბო  
და ჭავათურა. ამავე მუხლის ძალით ვაკეშიდა საქართველოს  
სსრ-ს ხამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

72-ე მუხლის საუკეთელოზე განისაზღვრა საქართველოს  
რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და  
მმართველობის უმაღლესი ორგანოებს დაქვემდებარებული  
გამგებლობა.

73 მუხლით საქართველოს რესპუბლიკა განისაზღვრა აგა  
თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტდა აღმინისტრაციულ-  
ტერიტორიული მოწყობის სხვა საკითხებს. 81-ე მუხლით  
აუხაზულის ასპექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ტერიტორია არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მათი თანხმობის  
გარეშე.<sup>1</sup>

1991 წლის 9 აპრილს ქ. თბილისის მთავრობის  
სასახლეში გამტკადდა საქართველოს სახელმწიფო გრიფი  
დამოუკიდებლობის აღდგენა და 1918 წლის 26 მაისის  
დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღადგინა  
საქართველოს გაუქმებული სახელმწიფო ბრიტანია, რითაც  
შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა  
მრავალპატიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების  
წარმომადგენლობითი ოგანონებითა და კონსტიტუციით.<sup>2</sup>

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებული 1978  
წლის 15 აპრილს, მასში შეტანილი ცვლილებებითა და დამტკიცით  
1991 წლის მარტის მდგრადიფიციტით. თბილისი 1991 წელი მარტი  
გამოიწყონა „სამშობლო“ 1991 წ.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანიზაციები, განეოი  
„საქართველოს რესპუბლიკა“, №70. 1991 წლის 10 აპრილი.



მასში აღნიშნული იყო, რომ 1921 წლის თებერვალურაზე და საბჭოთა რესერვის უხეშად დაარღვეა საქართველოზე სუსტი გადაცემა 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს ოკუპაცია, რასაც შეძლეომში მოპყვა მისი ფაქტობრივი აჩვენა. საქართველო სხვ კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფო ეპიკომიტეტის დღესაც არსებობს, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც თურდებული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განავრმობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩიული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კურდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით ვამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ნებას, აღვენს და საქვეყნოდ კუთხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლივ 1918 წლის 26 მაისის აქტის საუკულზე<sup>1</sup> აღდგნის აქტში ცალსახადა აღიარებული, რომ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელია, მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება.

ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვისა ან ტერიტორიული მოლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარჩვად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონ-

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №70, 1991 წლის 10 აპრილი.

მდგბლობის მოქმედების შესახებ.<sup>1</sup> მისი პირველი მუხლით,  
საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებაში და  
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთობლივი  
„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის  
გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990  
წლის 14 ნოემბრის კანონი. მე-2 პუნქტით საკონსტიტუციო  
კომისიას დაუვალა საქართველოს რესპუბლიკის ახალი  
კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის 21 ოქტომბრის  
მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე. მე-3 პუნქტით  
საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა  
შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი 1991 წლის  
9 აპრილს დამტკაცებულ „საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დამოუკიდებლობის დადგენის აქტით.<sup>2</sup> 1991 წლის 26 მაისს  
არჩეულ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი –  
ზ.გამსახურდა. 1991 წლის 19-21 აგვისტოს ქ. მოსკოვში  
ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების ტცდელობას.  
პუტინის თრიგანიზატორებმა მოუწოდეს რეკავშირე  
რესპუბლიკებს ადგილებზე ჩველა შეიარაღებული  
ფორმირებების დაშლისა კენ. საქართველოს რესპუბლიკის  
პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გაარდია  
გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, რამაც  
გარევეული დესტაბილიზაცია შეიტანა საქართველოში  
მიმდინარე პროცესებში. 1990 წელს ოსმა სეპარატისტებმა  
ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩარეს დამოუკიდებელი  
საქართველოს წინააღმდეგ გამოყოფის მიზნით და რეგიონი  
გამოაცხადეს „სამხრეთ ისეთის საბჭოთა რესპუბლიკად“,

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №69. 1991 წლის 9 აპრილი.

2. საქ. რეპ. უზენაეს საბჭოს თრიგანის გაზეთი „აქართველოს რესპუბლიკა“ №69. 1991 წლის 9 აპრილი.



რითაც რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოს  
ტურისტორიულ მოღაცობას. ოვითმარქვა „ხელისუფლების წესი“  
ასეთი უკანონო მოქმედების გამო, საქართველოს რესპუბლიკური 1999 წელის  
უზენაესის საბჭომ მიღები კანონი „სამხრეთი ისეთის გაუქმების  
შესახებ“!

1978 წლის კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა 1991  
წლის 30 ოქტომბერს, გაუქმდა კონსტიტუციის 70-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დამტკიცება მოკავშირე სახელმწიფოებთან, სსრკ პრეზიდენტიცა  
იყო, ხოლო 71-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკაში შედის აუსაზრის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აბაშის, აღგიგის, ამბროლაურის, ასპინძის ახალგორის, ახალქალაქის, ახმეტის ბაღდათის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, ვორის, გურჯაანის, ლეჩხუმის წყაროს, თელავის, თერჯოლის, თანაეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარნეულის, მარტყოლის, მესტიის, მცხეთის ხიცმინდის, ოზურგეთის, ონის, ხაგარევის, სამტრედიის, ხისტერის, სენაკის, ხილალის, ქარელის, გაზევის, ყვარლის ჩიხატაურის, ჩხოროწყვის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ხარაგაულის, ხაშურის, ხობის, ხონის, ჯავის რაიონები და რესპუბლიკური დაქცემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყიბული, ფოთი, ჭიათურა, ცხინვალი, წყალტუბო და ჭიათურა.

72-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკის გამკებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება: მიწით, წიაღით, ტყითა და წყლით სარგებლობის წესით დადგნა, გარეშოს დაცვა მე-11 პუნქტით.

1. გმიწკიანული „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი 1999 წ. გვ. 103



104-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკური კურსების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანიზაციის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის საზღვართან დაკავშირებულ საკითხებს; მე-11 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; თავისი კომეტინციის ფარგლებში ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას; სახელს უცვლის რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს; მე-12 პუნქტით ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრების შეცვლას; ქმნის და აუქმნებს რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებს.<sup>1</sup> 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს რესპუბლიკაში მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმაა უნიტარული სახელმწიფო. საქართველოს ტერიტორიის ფართობია – 69,5 ათ. კმ<sup>2</sup>. დედაქალაქი თბილისი, სახელმწიფო ქა ქართული, მოსახლეობა 5.421.652, რელიგია ქრისტიანობა.<sup>2</sup>

1991 წლის 21 დეკემბერს (ქ. ალმა-ათა) შეიქმნა პოლიტიკური კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამედრობა, რომელიც სსრკ დაშლის შედეგად წარმოიქმნა. მასში შევიდნენ: რუსთა, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყარგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი.<sup>3</sup>

1. ქანისტიკურია (ბრიტურის სახით) გამოქვეწულია 1991 წლის 27 ნოემბრის რევოლუციამართი „საქართველოს რესპუბლიკაში“ №233.

2. ა.დემეტრაშვილი „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“, გამომცემლობა „აურილავლი ლიტერატურა“, თბ., 1992, გვ. 24.

3. ქართული დაძლომატორი ლექსიკონი, ტ.1, თბ., 1997 წ. გვ.144



1991 წლის 22 დეკემბერს ქათაბილისში დაიწყო სამოქალაქო, ომი, რომელიც 1992 წლის 8 იანვრისთვის გაგრძელდა. საქართველოს პრეზიდენტმა და ხელისუფლების მიერ წარმომადგენლებმა დატოვეს საქართველო და მაღარეულება ხელში აიღო დროებითმა სამხედრო საბჭომ.

**დასპენა:** სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქას, რომ სსრ კავშირის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო სახლვარს ცვლილება არ განუცდა, იგი რა ტერიტორიის ფარგლებშიც შევიდა სსრ კავშირში, იმ ფარგლებში გამოვიდა სსრ კავშირადან. სახელმწიფო საზღვრის საღელმიტაციი კომისიებმა უცილებლად უნდა გაითვალისწინონ აღნიშვნელ თავში სამართლებრივად გამოვლენილი შეცდომები ზოგი დოკუმენტისა და მეზობელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების პროცესში უნდა იმსჯელონ მხოლოდ სსრ კავშირში შესვლის მდგრამარეობით და იმ დროისათვის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებისა და მასზე თანადამოული რეკების საფუძვლზე აქვთ გვინდა ავლნიშნოთ ისაც, რომ მარტო სამართლებრივი დოკუმენტებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო საზღვრის ხაზი შეიცვალა თუ არა, ვინაიდან 1920 წლის 7 მაისის რესეტ-საქართველოს ხელშექრიულებით საზღვრის დეტალური აღწერა უნდა ჩატარებულიყო შეჩერდი კომისიის მეშვეობით, რაც არ მომხდარა, ამდენად აქ საჭიროა თავისი სიტყვა თქვას კარტოგრაფებმა აღმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებით, თვით რეკები კი შესრულებული და გამოცემული უნდა იყოს იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.



III 0330

საქართველოს სახელმწიფო სახელგანი  
სამინისტროს და მის მიერ მიღებული  
მომატიულ პირების  
(1992-1999 წლები)

1992 წლის დასაწყისში, ხამოქადაქი რმის დამთავრების შემდეგ საქმიანობა შეწყვიტა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ძალაუფლება ხელში აიღო დროებითმა სამხედრო საბჭომ, რომელიც შეიქმნა 1992 წლის 6 აპრილს.<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის №128 დადგენილებით რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის საზღვრების გასწრივ დაწესდა სასაზღვრო ზონა, რომლის სიღრმე განისაზღვრა სახელმწიფო საზღვრიდან არაა უმეტეს 21 კმ.-სა. ზოლი საზღვრიდან 15 კმ-ის სიღრმეზე დაზუსტებული უნდა ყოფილიყო აღმინისტრაციული კრითიკულების საზღვრები. 21 კმ-იან მონაკვეთზე სასაზღვრო ზონის ტერიტორია გამოიცხადდა აკრეთვე სახელმწიფო საკუთრებად და აკრიძალა მისი პრივატიზაცია. სასაზღვრო ზონაში აკრიძალა აკარიმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფა, მათ შორის ინდივიდუალური ბინათმენებლობისათვისაც. სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით დადგენილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. დეკლარაციის პირველი პუნქტი საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დევებანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოწყველებას დღევანდელი

1. პენსიონადე „საქართველოს კონსტიტუციური სამინისტრი“. გამოიქვეყნო „მუნიციპალი“ ობილისი 1996 წელი გვ. 58



რეალობების გათვალისწინებით.<sup>1</sup> 1992 წლის 7 მაისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში №10 დადგენილებით მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირების კონცეფცია. ამავე დღეს გამოსცა „სასაზღვრო ზოლის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესისათვის გადაწყვეტის შესახებ“ №10 დადგენილება, რომელშიც ცნობად მიიღო, რომ საქართველოს მთავრობის 6 თებერვლის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის საზღვრების გასწვრივ დაწესდა სასაზღვრო ზოლი, ამავე დადგენილებით უნდა დაზუსტებულიყო აღმინისტრაციული ერთეულების საზღვრები, სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ტყის და პევების მრეწველობის, აგრეთვე სხვა წარმოების და ორგანიზაციების ჩამონათვალი.<sup>2</sup>

1992 წლის 30 ივლისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აღიარების შემდეგ, პირები საერთაშორისო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, რომელსაც ეწოდა მეცნიერების, თანამშრომლობისა და კუთილებების ურთიერთობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრული მხარეები პატივს მიაგებენ ორივე ქვეყნის სუვერენულ სტატუსს და დაუყრდნობიან დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურდვევითის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურგვლობის პრინციპებს და გამოხატავენ თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს, ერთხმად ადასტურებენ გაერთიანებული ორგანიზაციის წესდებას, მის მიზნებს, პელსინის საბოლოო აქტისა და

1. განხოთ „საქართველოს რესპუბლიკა“ №36, 1992 წ. 25 თებერვალი.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 7 მაისის დადგენილება №10

ახალი ეკროპისთვის პარიზის ქარტიის, ეკროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სტანდარტების ღრთვულებას.

გამოთქმებრივ რწმენას, რომ ორ ხალხს შორის არსებული ისტორიული და კულტურული ტრადიციების სიახლოებები და მეგობრული კავშირები ხელს შეუწყობს მრავალმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას. მხარეებმა ამ ხელშეკრულებით განაცხადეს, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარისხ შეთანხმებით. მხარეებმა იხსლებოვანელებს იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. მხარეები შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალიდულებების გათვალისწინებით. პირველი მუხლით შეთანხმდნენ, რომ განაცხადობენ და გააფართოვებენ ურთიერთობებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, სპორტისა და სხვ. დარგში.<sup>1</sup> აღნიშნული ხელშეკრულების ირგვლივ ჭოველოვის დაიბადება კითხვა, რატომ მოხდა ხელშეკრულების პრეამბულით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დადგენა, როგორიც სახელმწიფო საზღვარია და რაგომ ძირითადი ნაწილი არ გახდა იგი მუხლობრივად აღნიშვნულ შეთანხმების შინაარსში. საერთაშორისო სახელშეკრულები სამართლის მე-5 თავის მე - 4 ნაწილში განსაზღვრულია საერთაშორისო

1. საქართველოს რესპუბლიკასა და ოურქეთის რესპუბლიკას შორის ხელშეკრული ხელშეკრულება შევრიცხობის, თანამშრომლობისა და კუთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ. 1992 წლის 30 ივნისი. ინახება საქ. საქმეთა სამინისტროს ბიბლიოთეკაში.



ხელშეკრულების სტრუქტურა და ფორმა. პრეამბულა ანუ შესავალი ნაწილი შეიცავს მხარეთა დასახლებას და მითითებას. ამდენად დარღვეულია შეთანხმების მიზანზე მითითებას. ამდენად დარღვეულია ხელშეკრულების შედგენის წესი და პრეამბულას რატომდაც მინიჭებული აქვს ძარითადი ნაწილის დატვირთვა. ანიმული შეთანხმების მომზადებისას, ჩვენის აზრით, საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი თვით 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულება. ყარსის ხელშეკრულების I-ლი მუხლით მხარეებმა ბათილია და ძალადაკარგულიად ცნეს კვლა ხელშეკრულება, რომელიც დადგებული იყო იმ მთავრობათა მიერ, რომლებიც წინათ ახორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშეკრული მხარეების ტერიტორიაზე და რომელი ხელშეკრულებანც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს, აგრეთვე, იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადგებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და ეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. აქეე აღიარეს, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 (1337) წლის 16 მარტს, იმ მუხლის მოქმედებას არ ვქვემდებარება. ე.ო. გამოდის, რომ 1992 წლის 30 ივნისის საქართველო-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებაში ყარსის ხელშეკრულების აღიარებით საქართველომ აღიარა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებაც, აღნიშნული საკითხი, როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით გადასინჯვას საჭიროებს, რათა გამოირიცხოს ურთიერთსაპირისპირო ქმედებები და ხელშეკრულება არ განდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციით მსჯელობის საგანი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოსათვის ეს პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ხელმოწერილი იქნა მისთვის მრავალი ათწლეულების მანძილზე სრულიად მოწყვეტილ მეზობელ სახელმწიფოსთან, როგორიც თურქეთის რესპუბლიკაა და საქართველოს მთავრობამ თავდაცვის მიზნით სასწრაფოდ უზრუნველყო სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი გამიჯვნა



საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, 1992 წლის 8 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ”, რომელშიც აისახა თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის უახლესი ტენდენციები. დეკრეტის მუხლებში განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მისი დაცვის უზრუნველყოფა, დადგენა, აღნიშვნა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით დადგინდა მისი ტერიტორიული და შიდა წყლები, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ურთიერთობა, განისაზღვრა სახელმწიფო საზღვრის რეკიმი, კონტროლი საზღვრის გადაკვეთისას, ტერიტორიულ წყლებში მშეიღებანი გავლის უფლებები, საზღვარზე სამეურნეო საქმიანობის წესი, სასაზღვრო ზონა და სახაზღვრო ზოლი; 23-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საზღვარს დაიცავდნენ სახაზღვრო ჯარებისა და საპატიო თავდაცვის ჯარები და ჩამოყალიბდა მათი უფლება-მოვალეობანი სახელმწიფო საზღვრის დაცვისას.<sup>1</sup>

1992 წლის 11 ოქტომბერს დამრაციდებელ საქართველოში მეორედ ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, სადაც პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. შევარდნაძე. 1992 წლის 4 ნოემბერს, იგი სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს. იგი ასევე განაგებდა ქვეყნის შეარაღებულ ძალებს. იმ დროისათვის ნამდვილად კურ ვიტჟვით, რომ სახელმწიფო მშვიდობა სუუევდა, საქართველოს ტერიტორიის აუხაზულის მონაკვეთზე კი ომი მიმდინარეობდა. სირ კავშირის ნერვულიან დაწყებულ პროცესებში საქართველო პირისპირ აღმოჩნდა რუსეთის იმპერიალისტურ ძალებთან ჭიდილში ცარიელი ხელებითა და დანგრეული ქვრივიეთთ.

1. ლ. ალექსიძე „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“ თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამოშეკმლობა, 1994 წელი გვ. 247.

1993 წლის 5 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ მიყდრული დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო ჯარების შექმნის შესახებ.

1993 წლის 19 მაისს ხელი მოუწერა ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის შორის მეცობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ, ხელშეკრულებაში აღიარებულია მსარეთა მიერ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიალური მთლიანობისა და საზღვრების ურდვევობის პრინციპები, მაგრამ მათ შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და სამართლებრივი გაფორმება არ მომხდარა.<sup>1</sup>

1993 წლის 22 იანვარს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაუროთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა დსთ წესდება, საქართველო დსთ-ს მიუერთდა 1993 წლის 9 დეკემბერს. დსთ-ს წესდება საქართველოში ძალაში შევიდა 1994 წლის 19 აპრილს.<sup>2</sup>

საქართველოს დსთ-ს გარე საზღვრები არასდროს უდიარებდა და შეთანხმებაზეც არ მოუწერია ხელი.

1993 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №926 დადგენილებით შეიქმნა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისია. ამ დროისათვის საქართველოს ოურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა აფხაზეთის

1. ქართველი დიპლომატია ტომი III თბილისი 1996 წელი გვ. 402-410.

2. ქართველი დიპლომატიური დაქტისტონი ტომი I თბილისი 1997 წელი გვ. 144.

მონაკვეთზე, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის სვანეთის ტერიტორიას.

1994 წლის 13 იანვარს ანგარაში ხელი მოეწერა დეკლარაციას „საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეცნიერობის თანამშრომლობისა და სოლიდარობის შესახებ“ დეკლარაციაში ისევ აღიარეს 1992 წლის 30 ივნისს თბილისში ხელშეკრულება „მეცნიერობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ“, აგრეთვე ის ხელშეკრულებებიც, რომლებსაც ემსრობა ორივე მხარე. დეკლარაციაში თრივე ქეყანამ დაადასტურა თავისი ერთგულება დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთობატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაუტვილობის, სადაც საკითხების მშეიღებიანი საშუალებებით მოწესრიგების, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების, საზღვრების ძალით ან ძალის გამოყენების შუქარით შეუცვლელობისა და საერთაშორისო სამართლის სხვა აღიარებული პრინციპების მიმართ.<sup>1</sup>

1994 წლის 3 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მეცნიერობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ მხარები ეყრდნობიან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, ხალხთა ძრავალსაუკუნოების ტრადიციებს, მაჩინათ, რომ კეთილმეზობლური, ურთიერთ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. 1-ლი მუხლით მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის, ხალხთა თანასწორუფლე-

1. ქართველი დიპლომატია ტომი III თბილისი 1996წ. გვ. 411-413.



ბიანობის, სამინისტრო საქართველოშის, დავის მმკიცნებიანი  
მოგვარებისა და საერთაშორისო სამართლის საქართველო  
საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვაშე. მე-2 მუხლით  
მხარეები ითანამშრომლობენ იმ მიზნით, რომ განამტკიცებენ  
მშვიდობას სტაბილურობას და უშიშროებას, როგორც  
გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით, ხელს შეუწყობენ  
რეგიონული კონფლიქტების მოგვარებას და ერთმანეთს  
შეუთანხმებენ პოზიციებს საჭირო შემთხვევაში  
კოორდინირებული და ერთობლივი მოქმედების  
განსახორციელებლად. ხელშეკრულების მე-3 მუხლით მოლინად  
ეხება საზღვრის დაცვას. შეთანხმდნენ, რომ დროებით  
საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, საზღვრის დაცვის  
ფუნქციებს განახორციელებულ რესერის ფედერაციის სამსახურო  
ფორმირებას, ხოლო რესერის ფედერაციის მხარე  
საქართველოს აღმოჩენის დახმარებას სწავლების  
ორგანიზაციის, სამსახურო შეარაღებისა და ტექნიკის, საჭირო  
ტექნიკური აღჭურვილობის მომარაგების საქმეში.<sup>1</sup>  
ხელშეკრულება რატიფიცირებულია მხოლოდ საქართველოს  
მხრიდან 1996 წლის 17 იანვარს, ხოლო რესერის  
ფედერაციის მიერ დღესაც არ არის რატიფიცირებული.  
ჯერჯერობით ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფალთა  
მხრიდან პილიტიკური შეფასება ოფიციალური განცხადების  
სახით არ მომხდარა. 1994 წლის 3 თებერვლს, ასევე  
გაფორმდა შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და  
რესერის ფედერაციას შორის საქართველოს ტერიტორიაზე  
მყოფი რესერის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების  
სტატუსისა და ფუნქციონირების პირობების შესახებ. უნდა  
აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის დაშლისა და საქართველოს  
დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ  
რესერის ფედერაციის სასაზღვრო ნაწილები არ გასულან

1. ქართველი დიპლომატია ტომი III თბილისი 1996 წელი გვ. 414-426.



საქართველოს ტერიტორიიდან და ისინი იცავდნენ საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის 277 კმ<sup>2</sup> ფართზე დან მონაკვეთს. მართალია, საქართველოს პარლამენტის შეირჩეულება რატიფიცირებული არ ყოფილა. მაგრამ დე-ფუქტო ნამდვილად იყო.

1994 წლის 31 დეკემბერის №912 და №913 დადგენილებებით შეიქმნა საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიები,<sup>1</sup> რომლებიც შეუდგნენ საზღვრის შესაბამისი მონაკვეთების შესწავლისა და არსებული მასალების საფუძველზე ოქმის დონეზე მოღვაწრაკებათა პროცესებს. კარგი იქნებოდა, რომ მათ, სამართლებრივი კუთხით თავიდანვე პქონოდა შესწავლილი ხელთ არსებული დოკუმენტების მომქმედ კონსტიტუციებთან შესაბამისობა და განესაზღვრა სამართლებრივად რამდენად სწორი იყო ამა თუ იმ მონაკვეთის შეთანხმების დროს მეორე მხარის მიერ ან მათივე წარდგენილი დოკუმენტების სისწორე. წინამდებარე ნაშრომის გამოყენებამ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა შეიტანოს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო კომისიებს უკეთ გარეკერდი სამუშაოები აქვთ ჩატარებული, რაც დღეს თურდიული მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან რაიმე ნორმატული აქტი მიღებული არ არის.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა სახელმწიფო უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. 1-ლი მუხლით საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აუსაზღოს ასსრ-ში და ყოფილ

1. იხ. საქ. მინისტრის ფასინების 1994 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №912, №913. სამსახურებრივი სარგებლობისათვის დაუტივდა აღმასრულებელ სტრუქტურებს.



სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ თლქში ჩატარებული  
რეფერენდუმით და საქართველოს სახელმწიფო უმცირესი და  
დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 9 აპრილის კანონით

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური  
წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რეპუბლიკა.  
საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდება არის  
„საქართველო“.

მე-2 მუხლით განისაზღვრა საქართველოს  
სახელმწიფოს ტერიტორია 1991 წლის 21 დეკემბრის  
მდგრადირებით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა  
და სახელმწიფო საზღვრების ხელშეკრულობა დაბასტურდა  
საქართველოს კონსტიტუციითა და კონინკით, აღმარტული  
იქნა სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და  
საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს  
სახელმწიფოს ტერიტორიის განსვენება აიკრიბა, ასე  
სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შესაძლებელი გახდა  
მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადგებული მხოლოდ  
ორმხრივი შეთანხმებით. საქართველოს ტერიტორიული  
სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრულა კონსტიტუციით  
კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის  
საფუძველზე ქვეყნის მოელს ტერიტორიაზე საქართველოს  
იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

მე-3 მუხლის ბ) პუნქტის ძალით მხოლოდ  
საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა  
განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო  
საზღვრების სტატუსი, რეფომი და დაცვა, ტერიტორიული  
წყლების, საპარო სივრცის, კონტინენტური შეღფისა და  
განსაკუთრებული კონიმიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;  
ე) ქვეპუნქტით საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო  
ურთიერთობანი; მე-6 მუხლით საქართველოს კონსტიტუცია  
სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა  
სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მას. საქართველოს  
კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის



საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდევება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფო ეროვნული აქტების მიმართ. 65-ე მუხლით საქართველოს პარლამენტი ხრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას; ე) პუნქტის მიხედვით საკალდებულოა ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მოღარეობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას. 98-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ქვეწის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მოღარეობის დასაცავად, აკრეთვე საერთაშორისო კალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.<sup>1</sup>

მოკლედ მიმოვანდლავთ რას წერენ თავიანთ კონსტიტუციებში ტერიტორიულ მოღარეობასა და საზღვრების შესახებ ჩვენი მუხლები სახელმწიფოები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-3 მუხლში ორი ძირითადი ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლებიც წყდება საერთო-სახალხო გამოკითხვით-რეფერენდუმით, პუნქტი 1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა; 2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შეცვლა; მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტთ, აზერბაიჯანის ტერიტორია ერთიანია, ხელშეუხებელი და განუყოფელი. მე-2 პუნქტით, აზერბაიჯანის შიგა წყლები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილი კასპიის ზღვის სექტორი (ტბა), აზერბაიჯანის რესპუბლიკის საპარა სიერკვე

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტო, თბილისი 1995 წელი.



აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილებია. მე-  
პუნქტით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ  
განვისხვის ხელი. აზერბაიჯანის რესპუბლიკა არავის არამართ  
ნაწილში და არავითარი ფორმით არ გადასცემს თავის  
ტერიტორიას, სახელმწიფო საზღვრები შეიძლება შეიცვალოს  
მხოლოდ რეფერენდუმის გზით, რომელიც ტარდება  
აზერბაიჯანის მთელ მოსახლეობაში აზერბაიჯანის  
რესპუბლიკის მიღი მეჯლისის გადაწყვეტილებით  
აზერბაიჯანელი ხალხის ნების გამოხატვის საფუძვლზე.  
კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 12 ნოემბერს  
რეფერენდუმის გზით.<sup>1</sup> 1995 წლის 5 ივნისს, ასევე  
რეფერენდუმის გზით მიღებულ სომხეთის რესპუბლიკის  
კონსტიტუციაში, მე-III თავში (რესპუბლიკის პრეზიდენტი)  
49-ე მუხლით აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი  
არის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მოღიანობის და  
რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტი. 82-ე მუხლით,  
ეროვნული კრება მთავრობის წინადადებით ამტკიცებს  
რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.  
104-ე მუხლით სომხეთის რესპუბლიკაში აღმინისტრაციულ-  
ტერიტორიული ერთეულებია ოლქი და თემები, ოლქი  
შედგება სოფლის და ქალაქის თემებისაგან. ქ. ერევანს აქვს  
ოლქის სტატუსი. 62-ე მუხლით სომხეთის რესპუბლიკაში  
საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული  
კრება. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლობრივ  
აღწერილობაში სხვა ჩანაწერები ტერიტორიასა და  
სახელმწიფო საზღვრების შესახებ საერთოდ არ ფიქსირდება.<sup>2</sup>

1. Конституция Азербайджанской Республики, принятая 12 ноября 1995 г. путем референдума. Журнал «Вестник» Межпарламентской Ассамблеи, г. Баку, 1996 г.

2. Конституция Республики Армения, принятая всенародным референдумом 5 июля 1995 г., г. Ереван, 1996 г.



რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-4 მუხლის 1-ლით პუნქტით, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი განცილდება მთელს მის ტერიტორიაზე. მე-3 პუნქტით, რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს თავისი ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას. 65-ე მუხლით განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობა რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახით. 67-ე მუხლით განსაზღვრულია მისი ტერიტორია სუბიექტების ტერიტორიის სათვლით, შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა და მათ თავზე არსებული საპატიო სივრცე. სუბიექტების ტერიტორიის საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე. 72-ე მუხლის 6) პუნქტით რუსეთის ფედერაციის გამგებლობაში შედის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის, ტერიტორიული ზღვის, საპატიო სივრცის, განსაკუთრებული კონისტიტური ზონისა და კონტინენტური შელფის სტატუსის განსაზღვრა და დაცვა. კონსტიტუცია მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს სახალხო არჩევნებით.<sup>1</sup>

1982 წლის 7 ნოემბერს მიღებული იქნა თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. რომლის პირველი თავის, III პარაგრაფის, მე-3 მუხლით, თურქეთის სახელმწიფო, თავისი ტერიტორიით და ერთი არის განუყოფელი და მთლიანი. მე-VI პარაგრაფის მე-6 მუხლით, სუვერენიტეტი ეძღვა ერს ჭავლგვარი პირობების გარეშე. თურქს ერმა უნდა გამოიყენოს თავისი სუვერენიტეტი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების შემცვეობით, როგორც ეს შესაბამება დადგენილ პრინციპებს, რომლებიც აღნიშნულია კონსტიტუციაში. სუვერენიტეტის დელეგირების უფლება არ ეძღვა არც ერთ ინდივიდუალურ პიროვნებას, ჯგუფს და ა.შ. არც ერთი პიროვნება ან

1. Конституция Российской Федерации, принятая всенародным голосованием 12 декабря 1993 г. Москва, 1999 г. Изд-ская группа НОРМА-ИНФРА.М.



სტრუქტურა არ გამოიყენებს სახელმწიფო უფლებას, თუ ეს არ შეესაბამება კონსტიტუციას. ტერიტორიას მთან აუზებისა და სახელმწიფო საზღვრის შესახებ კონსტიტუციის მუხლობრივ აღწერილობაში სხვა არაფერია აღნიშნული.<sup>1</sup>

მაგალითად 1958 წლის 28 სექტემბერს რეფერენდუმის გზით მიღებულ საფრანგეთის კონსტიტუციაში, მე-3 მუხლით ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელსაც თავისი წარმომადგენლების მემკვიდრეობით და რეფერენდუმის გზით ახორციელებს. ხალხის არც ერთ ნაწილს ან ცალკეულ პიროვნებას არ შეუძლია მისი განხორციელება, ხოლო მე-5 მუხლით, სადაც პრეზიდენტის ფუნქციებია განსაზღვრული, იგი ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მოლიანობის, ეროვნის, შეთანხმებების და ხელშეკრულებების დაცვის გარანტია. მე-16 მუხლით, როდესაც რესპუბლიკის დადგენილებანი. ერის დამოუკიდებლობა, ტერიტორიის მოლიანობა ან საერთაშორისო ვალიუტულებათა შესრულება აღმოჩნდება სერიოზული და უშუალო საშიშროების წინაშე, დაარღვევა კონსტიტუციური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საკონსტიტუციო საბჭოსთან ოფიციალური კონსულტაციის შემდეგ ახორციელებს შექმნილი ძღვომარებით ნაკარნახევ ღონისძიებებს და ამის შესახებ წერილობით აუწყებს ერს. 89-ე მუხლით დაუშვებელია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის წამოწყება ან გავრძელება, თუ ხელფორულია ტერიტორიის მოლიანობა.<sup>2</sup>

1. თერქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია გამოცემული ქ. ანქარაში 1995 წელი ISBN: 975-19-1206-7.

2. ადგეტირაშვილი „შეისახოთ ქვეწების კონსტიტუციები“. გამოცემულია „ოუნიდაული ლიტერატურა“, თბ., 1992 წ., გვ. 132, 133, 136, 154, 156.



